

რკინიგზა და გამოსავალი A4



ჯერ საქმე - ეროტიკა მოიცდის A6



ევროპას აღარ ვჭირდებით A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 27 ივლისი, 2005 წელი. №169 (1029)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "აზოტის" სავარაუდო მყიდველად ქართული "ენერჯ ინვესტი" სახელდება

"აზოტის" ერთ-ერთი კრედიტორის, თურქული ფირმა "აჭარა"-ს წარმომადგენლის ვარაუდით, "ენერჯ ინვესტის" უკან ჩხარტიშვილი-სიორიძის და პატარკაციშვილის ინტერესები იკვეთება და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კრედიტორების დავალიანების გასტუმრება არ მოხდეს.

A2

## ამბები

### საბანკო სისტემაში სესხების მოცულობა გაიზარდა

სპეციალისტთა განმარტებით, თუ ბანკების წმინდა მოგების ზრდის ტემპი შენარჩუნდება, წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, რეკორდულიც აღმოჩნდეს.

A2

## უცხოეთი

### ამერიკამ ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტი ცნო

აშშ-მ გუშინ ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტი, ფაქტობრივად, ცნო და ამით უზრუნველყო პეკინში ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის გახსნა, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი ქვეყანა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, აშშ, რუსეთი, ჩინეთი და იაპონია.

A4

## უცხოეთი

### ერაყს კომპეტენტური კადრები არ ჰყავს

აშშ-ს სამხედრო უწყების დოკუმენტის თანახმად, ქვეყნის პოლიცია არაკომპეტენტური კადრებითაა დაკომპლექტებული და ექსტრემისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უშიშროების თანამშრომელთა მხოლოდ ნაწილს შეუძლია.

A4

## ამინდი

| | 26/07 | 27/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 37 |
| ტყიბული | 34 | 34 |
| სოხუმი | 33 | 33 |
| დმანისი | 29 | 28 |
| გორი | 32 | 31 |
| ონი | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 36 | 34 |
| ახმეტა | 37 | 36 |
| გაგრა | 31 | 32 |
| სამტრედია | 35 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.1827 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1460 |
| რუბლი | 0.0631 |

ამბები A 2
ამბები A 3
ამბები A 4
უცხოეთი A 5
სხვადასხვა A 6
რევიუ A 7
სპორტი A 8

# "გრუ"-ს პოლკოვნიკი

## რომლის შესახებაც საქართველოს ხელისუფლება ერთი წლის წინაც საუბრობდა

*გორის ტერაქტის გახსნა საქართველოს კრიმინალისტიკის ისტორიაში, მართლაც, უპრეცედენტო ფაქტია. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა ქართულ-ოსურ კონფლიქტში "მესამე ძალის" მონაწილეობის შესახებ კონკრეტული მასალები დადეს.*

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანი ანატოლი ივანესძე სისოევი, "გრუ"-ს პოლკოვნიკი, რომელიც რუსეთმა 2004 წლის ივნისში ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინა, რუსეთის სპეცსამსახურის კადრის ჩინიანი ოფიცერია. მან საქართველოში რამდენიმე ტერორისტულ-დივერსიული აქტი დაგეგმა და თავადვე წვრთნიდა იმ სპეცჯგუფებს, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ. რუსეთის სპეცსამსახურის ოფიცრის ანატოლი სისოევის სახელი საზოგადოებისთვის გუშინ გახდა ცნობილი.

თუმცა, ზუსტად ერთი წლის წინათ, 2004 წლის 8 აგვისტოს, მაშინ, როცა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია და როცა საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტში "მესამე ძალის" მონაწილეობის თაობაზე ალაპარაკდა, ანატოლი სისოევის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე ნიკა ტაბატაძე საუბრობდა. როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმდინარეობისას საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა ვერტმფრენებმა რამდენჯერმე უკანონოდ გადაკვეთეს და ამას საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პრინციპული განცხადება-მუქარა მოჰყვა, ნიკა ტაბატაძემ სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა, რომელზეც გააკეთა განცხადება იმის შესახებ,

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბათუმში "ხელოვნების ზეიმი" გაიხსნა

## ფესტივალი მცირედი ცვლილებებით დაიწყო

ვერა ნეფარიძე

*"ისეთი ბედნიერი ვარ, რომ კონცერტზე დაკვრაც აღარაა საჭირო", - ფესტივალის დაწყებამდე ლიანა ისაკაძემ საკუთარი განწყობა ასე გამოხატა. ბათუმში ბორჯომის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალისთვის - "ხელოვნების ზეიმი" განსაკუთრებული სამზადისი იგრძნობოდა.*



გუშინ ბათუმის ოპერის თეატრში "ხელოვნების ზეიმის" დაწყება ფესტივალის ორგანიზატორებმა და მასპინძლებმა საზოგადოებას აუწყეს. ერთადერთი უსიამოვნო ცნობა, რაც ამ შეხვედრაზე შევიტყვეთ, იუსტუს ფრანცის ჩამოუსვლელობა იყო.

გაგრძელება A8 გვერდზე

# აშშ ყირგიზეთში სამხედრო ბაზებს ჯერჯერობით შეინარჩუნებს

ნიკა თარაშვილი

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყირგიზეთი თანახმა იყო, აშშ-ს მანამდე შეენარჩუნებინა სამხედრო ბაზები ყირგიზეთის ტერიტორიაზე, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა ავღანეთში საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად.

თუმცა, როგორც ცოტა ხნის წინ ყირგიზეთის თავდაცვის მინისტრმა ისმაილ ისაკოვმა განაცხადა, ვითარების გაუმჯობესების შემთხვევაში, აშშ-ს სამხედრო ბაზების დატოვების აუცილებლობა აღარ იქნება.

აშშ-ს სამხედრო ბაზების შესახებ საუბარი ორი ქვეყნის მაღალჩინოსნებს შორის აშშ-ს თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის ცენტრალურ აზიაში ვიზიტის ფარგლებში შედგა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ამერიკელ ჯარისკაცებს "მანას"-ის დატოვება ჯერ არ მოუწევთ.*

# "ჩვენ არ გვსურს რუსეთთან კონფრონტაცია"

ოფიციალურმა მოსკოვმა თბილისის ბრალდებებს უპასუხა და ინსინუაციები უწოდა ქართული მხარის განცხადებას გორში განხორციელებულ ტერაქტთან რუსეთის სპეცსამსახურების კავშირის შესახებ.

**"პირები, რომელთა გვარებს საქართველოს შს სამინისტრო აქვეყნებს, რუსეთის არც ერთ ოფიციალურ სტრუქტურაში არ მუშაობენ,"** - ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

**"ამგვარი ინსინუაციები არ ემსახურება სამხრეთ ოსეთში ვითარების ნორმალიზაციის საქმეს, ისევე როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომ განვითარებას,"** - დასძენს რუსეთის საგარეო უწყება.

რუსეთის ამგვარმა პოზიციამ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი "გააკვირვა".

**"მე გამიკვირდა მათი მხრიდან ასეთი რეაქცია. ჩვენ მზად ვართ მათ ყველა მასალა გადავცეთ. ჩვენ არ გვსურს რუსეთის განაწყენება ან მასთან კონფრონტაცია. ფაქტი, რაც მოხდა, ასევე ურტყამს რუსეთის ინტერესებს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. გუშინ მან შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას მამაცობისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო სპეცსამსახურის თანამშრომელს დავით ნადიბაიძეს, რომელმაც ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე ნასროლი ხელყუმბარა ტერიტორიიდან გაიტანა, გორგასლის ორდენი გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ დაუშვებს მის ტერიტორიაზე უკონტროლო ზონების არსებობას და **"კრიმინალური ელემენტების თავისუფალ თარეშს".**

ამ ფაქტზე გუშინ განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა. მისი თქმით, გორის ტერაქტი სამწუხარო დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ხშირ შემთხვევაში ორმაგ სტანდარტებს იყენებენ.

**"ვერასოდეს რუსეთი საკუთარ ტერიტორიაზე ვერ აღმოფხვრის სეპარატიზმისა და ტერორიზმის საფრთხეს, თუ ის არ**

გაგრძელება A3 გვერდზე

# გულორდავა ზემდგომთა შემორიგებას ცდილობს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასა და ქუთაისის მერიას შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ერთი შეხედვითაც კი ადვილი შესამჩნევია, რომ ამ შემთხვევაში პოზიციებს მხოლოდ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი თმობს.

ბესიკ გულორდავამ თავისი გუნდის ერთგული წევრი და ერთადერთი მოადგილე ბესიკ ბრეგაძე თანამდებობიდან გაუშვა და მის ადგილზე პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ქაჯაიას რეკომენდირებული კადრი დანიშნა. ახალი ვიცე-მერი გიგა ჩოგოვაძე იმავდროულად სახელმწიფო კანცელარიაშიც მისაღები ფიგურაა. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი არველაძესთან აკავშირებს. აშკარაა, რომ ჩოგოვაძის დანიშვნით, გულორდავა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებთან უსიამოვნოდ გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენასაც ცდილობს.

**"ბატონ გიგას აქვს "ნაციონალური მოძრაობის" საკმაოდ მაღალი წარმომადგენლების, კერძოდ, გიორგი არველაძის რეკომენდაცია. მას გათვითცნობიერებული აქვს ის სირთულეები, რაც ამ თანამდებობას ახლავს თან. მას დანიშვნამდე ვიცნობდი და მიხარია, რომ აბსოლუტურად თანამოაზრეები ვართ,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

**"გიგა ჩოგოვაძის ერთ-ერთი რეკომენდატორი მე ვარ და თუ ის ვერ გაამართლებს, შეგიძლიათ, მე მისაყვედუროთ,"** - ამბობს ზურაბ ქაჯაია.

ახალი ვიცე-მერი წარმოშობით ქუთაისელია, თუმცა ბოლო დროს თბილისში მოღვაწეობდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის "საქენერგოგენერაციას" ხელმძღვანელობდა, ასევე, მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაშიც.

**"მიხარია, რომ დავბრუნდი ქუთაისში. ახლა მომეცა შანსი, რომ გამოვადგე ჩემს ქალაქს და ვფიქრობ, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ,"** - აცხადებს გიგა ჩოგოვაძე.

ჯერჯერობით სხვა საკადრო ცვლილება მერიაში არ განხორციელებულა, თუმცა უახლოეს მომავალში ქუთაისის მთავრობას, სავარაუდოდ, ერთი ვიცე-მერის შტატი დაემატება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ეკონომიკის სამინისტრო "მადნეულისთვის" 42 მილიონი ლარის ჩამოწერას ითხოვს

*ჩამოეწერება თუ არა სს "მადნეულს" 42 მილიონი ლარის ოდენობის ვალი, ეს, სავარაუდოდ, დღევანდელი მთავრობის სხდომაზე უნდა გადაწყდეს. საწარმოს ახალი ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ეს ვალი გასულ წლებში საგადასახადო დეპარტამენტმა კომპანიას არასწორად დაარიცხა და, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, ის ამ ვალის სასწრაფოდ ჩამოწერას ითხოვს.*

"მადნეულისთვის" ვალის ჩამოწერის საკითხი მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს, თუმცა მსჯელობა კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. მაშინ ეკონომიკური განვითარების ახალი მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე საწარმოსთვის ვალის დაუყოვნებლივ ჩამოწერას ითხოვდა და ირწმუნებოდა, რომ 42-მილიონიანი ვალის არსებობა ნებისმიერი ინვესტორის თვალში საწარმოს არამიმზიდველს ხდის. **"დავალიანების გამო "მადნეულის", როგორც საპრივატიზაციო ობიექტის, გასაყიდი ფასი მცირდება,"** - აღნიშნა მთავრობის ბოლო სხდომაზე მინისტრმა ჩოგოვაძემ.

"მადნეულისთვის" ვალის სასწრაფოდ ჩამოწერას საწარმოს დღევანდელი მენეჯმენტიც ითხოვს, თუმცა ამ შემთხვევაში მათი არგუმენტი სამინისტროსგან რადიკალურად განსხვავებულია. ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი დავალიანების დიდი ნაწილი, როგორც "მადნეულის" კორპორატიული დირექტორი აკაკი ჩარგელიშვილი ირწმუნება, გასულ წლებში საწარმოს ძველი დირექტორის დროს არასწორად დარიცხულ საგადასახადო ვალდებულებაზე მოდის, რომლის გადახდასაც, მისივე თქმით, საწარმო არ აპირებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "აზოტის" სავარაუდო მყიდველად ქართული "ენერჯ ინვესტი" სახელდება

მაია მოსიაშვილი

რუსთავის "აზოტის" მომავალი მფლობელი, სავარაუდოდ, ქართული კომპანია "ენერჯ ინვესტი" იქნება. "აზოტის" გაკოტრების მმართველი ზურაბ იაშვილი აცხადებს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ სწორედ ამ კომპანიის მიერ წარდგენილი პირობები ჩათვალა საუკეთესოდ და მასთან, როგორც გაკოტრების მმართველთან, მხოლოდ "ენერჯ ინვესტის" წერილია შესული, სადაც ის ქარხნის ყიდვის სურვილს ასაბუთებს.

"აზოტის" ერთ-ერთი კრედიტორის, თურქული ფირმა "აჭარა"-ს წარმომადგენლის ვარაუდით, "ენერჯ ინვესტის" უკან ჩხარტიშვილი-სიორიძის და პატარკაციშვილის ინტერესები იკვეთება და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კრედიტორების დავალიანების გასტუმრება არ მოხდეს. კრედიტორების ნაწილი ეჭვობს, რომ "აზოტი" აუქციონის წესით არ გაიყიდება და გამოცხადდება, რომ მას მხოლოდ ერთი რეალური და სერიოზული მყიდველი ჰყავს. შესაძლოა, ჭორად გავრცელებული ეს სქემა სიმართლისგან არც ისე შორსაა. ეჭვს აძლიერებს ის, რომ ჯერ-ჯერობით უცნობ ქართულ კომპანიაზე საუბარს ყველა თავს არიდებს. მაგალითად, "აზოტის" გაკოტრების მმართველი ამბობს, რომ არაფერი იცის ამ კომპანიის შესახებ, გარდა იმისა, რომ დღეს "აზოტს" გაზით სწორედ ის ამარაგებს.

"24 საათის" ინფორმაციით, "ენერჯ ინვესტი" "აზოტს" გაზს დაახლოებით ერთი თვეა აწვდის. მანამდე ამას "იტერა" აკეთებდა. აღსანიშნავია, რომ გაზის საფასურიც იგივეა (65 დოლარი) და გაზის წარმოშობაც (რუსული, "გაზექსპორტის").

გუშინ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნატო თედეშვილმა "აზოტის" აღიარებული და სადავო კრედიტორების ნუსხა დაადგინა. 25 ივლისს სასამართლოში მთელი დღე გრძელდებოდა საწარმოს კრედიტორთა სხდომა, რომელსაც 28 კრედიტორიდან 17 ესწრებოდა. როგორც გაკოტრების მმართველმა ზურაბ იაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, 12 ივლისისათვის სასამართლოში "აზოტის" მიმართ 594 მილიონი ლარის კრედიტორული მოთხოვნა დაფიქსირდა.

**"გასული წლის მონაცემებით "აზოტის" აღიარებული და სადავო კრედიტორული დავალიანება ერთად მხოლოდ 131 მილიონი ლარი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს დავალიანება ხელოვნურად არის გაზრდილი, ამიტომ მე მოთხოვნების 80 პროცენტი სადავო გავხადე. მაგალითად, "იტერას" კრედიტორული მოთხოვნა 90 მილიონ ლარს აღწევს და მათი მტკიცებით, ქარხანას ეს ვალი იმ დროს დაუგროვდა, როცა "აზოტს" "იტერა" მართავდა, რაც აბსურდად მიმაჩნია,"** - აცხადებს იაშვილი. მისი თქმით, გაკოტრების ტაბულის დადგენის შემდეგ გაირკვევა, რომელი კრედიტორი დაიბრუნებს უკან ვალს და არც ის არის გამორიცხული, რომ "აზოტის" გაყიდვის შემდეგ მხოლოდ ერთი კრედიტორი - საქართველოს ბიუჯეტი - დაკმაყოფილდეს. ბოლო მონაცემებით "აზოტის" ბიუჯეტისადმი დავალიანება 43 მილიონი ლარია.

მოსამართლე თედეშვილმა თავის განჩინებაში მთლიანად გაითვალისწინა "აზოტის" გაკოტრების მმართველის შუამდგომლობა და ქარხნის აღიარებულ მსხვილ კრედიტორებად დაასახელა:

ფინანსთა სამინისტრო (ბიუჯეტი) - 43,5 მილიონი ლარი

ფინანსთა სამინისტრო (სესხი) - 8,8 მილიონი ლარი

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი - 27,4 მილიონი ლარი

კონცერნი "დვინი" - 8,6 მილიონი ლარი

საქ. რკინიგზის დეპარტამენტი - 1,4 მილიონი ლარი

ფირმა "ალსო"-ინგლისი - 7,9 მილიონი ლარი

სულ გაკოტრების სასამართლომ "აზოტის" 100,5 მილიონი ლარის ვალი აღიარა, ხოლო 493,8 მილიონი ლარი სადავო გახადა. ბევრისთვის მოულოდნელად სადავოდ გამოცხადდა "სელედის" 30,5 მილიონი, ასევე - "ლილი და კომპანიის" 85,9 მილიონი. დაუსაბუთებლობის საბაბით მოსამართლემ არ დააკმაყოფილა "იტერას" 86,9 მილიონიანი და შპს "ახლო აღმოსავლეთის ფედერალური ბანკის" 2,8 მილიონიანი მოთხოვნა. "ალსო"-ინგლისის მოთხოვნილი 278,8 მილიონიდან კი მხოლოდ 7,9 მილიონი იქნა აღიარებული.

რუსთავის სასამართლოს ამ განჩინებამ სხდომაზე დამსწრე თითქმის ყველა კრედიტორი უკმაყოფილო დატოვა. ისინი ხმამაღლა აპროტესტებდნენ იმას, რომ უგულებელყოფილი იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებული ვალებიც კი.

"რა აზრი ჰქონდა ჩვენს აქ მოსვლას?! ცხადია, რომ "აზოტი" უკვე გაყიდულია რაღაც 27 მილიონად და კრედიტორების უმრავლესობა ცარიელი რჩება," - აცხადებდნენ კრედიტორების წარმომადგენლები სხდომის დასრულების შემდეგ.

რამდენად შეიძლება გაიყიდოს "აზოტი"?

ქარხნის გაკოტრების მმართველი ამბობს, რომ ბოლო აუდიტორული დასკვნით "აზოტის" აქტივები დაახლოებით 35 მილიონ ლარად შეფასდა და ქარხანაც, ალბათ, დაახლოებით ამ ფასად გაიყიდება.

# გულორდავა ზემდგომთა შემორიგებას ცდილობს

პირველი გვერდიდან

**"ორი ვიცე-მერი ძალიან ცოტაა, მით უმეტეს, როცა ისინი ახლა, ნელ-ნელა იღებენ გამოცდილებას და არ არიან ისე, რომ ყოველი კენჭი იცოდნენ ქუთაისში. ელემენტარულად, მოქალაქეებისა და სამსახურების უფროსების მიღებას ვერ აუვა ორი კაცი, ამიტომ ერთი ვიცე-მერის შტატი აუცილებლად უნდა დაემატოს,"** - აცხადებს ზურაბ ქაჯაია "24 საათთან" საუბარში.


ბესიკ გულორდავა ახალ ვიცე-მერს წარადგენს.

ამ დროისთვის უცნობია, ვის დანიშნავენ კიდევ ერთ მოადგილედ და გადაყვება თუ არა თავად გულორდავა მერიაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარე საკადრო ცვლილებებს. ფაქტია, რომ ყველა ეს საკადრო ცვლილება, რომლებიც ზემდგომთა ზეწოლის ან სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად ხორციელდება, მთავრობაში გულორდავას პოზიციების შესუსტებისკენაა მიმართული. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანამდებობა უკვე დაიბრუნა მერიის იურიდიული განყოფილების უფროსმა მაია სვინტრაძემ. სასამართლო განხილვების დასკვნით ფაზაში შევიდა მერიის ყოფილი ბუღალტრის დარეჯან მხეიძის, საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელის კახა ქორიძისა და სამეურნეო ნაწილის ყოფილი უფროსის გია ფხაკაძის საქმეები, რომლებიც გულორდავამ არადამაკმაყოფილებელი უნარ-ჩვევების გამო დაითხოვა და მათი საქმიანობის შესწავლა ფინანსურ პოლიციასა და პროკურატურასაც სთხოვა. სამართალდამცველების მონდომებამ შედეგი ვერ აჩვენა, უფრო მეტიც, ფინანსური პოლიციის მასალებზე დაყრდნობით აღძრული სისხლის სამართლის საქმის შედეგად ოთხი თვის წინ დაკავებული საფინანსო სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი ლევან გოგელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილი უფროსი გერმანე ხურციძე და შპს "ტენზორის" კომერციული დირექტორი ავთანდილ ობოლაძე ქუთაისის საოლქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. პროკურატურასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შედეგად, ყოფილ მაღალჩინოსნებს, თავისუფლების სანაცვლოდ, 30 000 ლარის გადახდა დაეკისრათ.

# ეკონომიკის სამინისტრო "მადნეულისთვის" 42 მილიონი ლარის ჩამოწერას ითხოვს

პირველი გვერდიდან

სს "მადნეულის" ფინანსური დირექტორი ლაშა ახალაძე იმასაც ამტკიცებს, რომ საწარმო ბიუჯეტის მიმართ პირნათელია და მას არც ერთი თეთრი საგადასახადო ვალდებულება არ გააჩნია. **"საგადასახადო დეპარტამენტი გვედავება იმას, რომ, თითქოს, ჩვენი საწარმო არასწორად ანგარიშობდა და შესაბამისად ის ბიუჯეტში ნაკლებს იხდიდა, ვიდრე მას ეკუთვნოდა. არადა ჩვენ ბუნებრივი წიაღით სარგებლობის გადასახადს იმ განაკვეთით ვიხდით, რაც გრემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაგვიმტკიცა - კონცენტრატის სარეალიზაციო ფასის 3 პროცენტი. თუმცა, საგადასახადო დეპარტამენტმა ჩათვალა, რომ ჩვენ ეს სამი პროცენტი ლონდონის ბირჟის ფასიდან გამომდინარე უნდა გადაგვეხადა, რაც აბსურდია, რადგან ჩვენ კონცენტრატს არ ვყიდით ლონდონის ბირჟის ფასში,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ლაშა ახალაძემ.

საგადასახადო დეპარტამენტი სს "მადნეულს" ოქროზე დაწესებული გადასახადების გადაუხდელობაშიც ადანაშაულებს. თანხა, დეპარტამენტის გამოთვლით, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. საწარმოს ფინანსური დირექტორი ირწმუნება, რომ **"მადნეულისთვის" ოქრო ძირითადი პროდუქცია არ არის. ის არის თანმდევი, შემცველი ელემენტი ჩვენი კონცენტრატისა და შესაბამისად ჩვენ მასზე დაწესებული გადასახადის გადახდა არ გვევალება".**

საგადასახადო დეპარტამენტსა და სს "მადნეულს" შორის დავას ამჟამად უზენაესი სასამართლო იხილავს. სასამართლოს უკანასკნელი მოსმენა, წესით, ორშაბათს, 25 ივლისს უნდა გამართულიყო, თუმცა ის, გაურკვეველი მიზეზების გამო, გადაიდო.

ამ საგადასახადო დავის შესახებ დეტალურად ინფორმირებულია ყველა ის ინვესტორი, რომელიც საწარმოთი დაინტერესებულია და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინაშე "მადნეულის" ყიდვის სურვილი ოფიციალურად დაადასტურა. მეტიც, ისინი დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ ეს ვალდებულება ხელისუფლებაში მყოფმა გარკვეულმა პირებმა საწარმოს ხელოვნურად შეუქმნეს, რათა ამით "მადნეულს" ინვესტორთა თვალში მიმზიდველობა მოკლებოდა.

**24 საათი**

# საბანკო სისტემაში სესხების მოცულობა გაიზარდა

საქართველოს საბანკო-საფინანსო ბაზარზე 10 მსხვილი ბანკია. წმინდა აქტივების, მოგების, მოსახლეობის ანაბრებისა და გაცემული კრედიტების მოცულობის მიხედვით "თი-ბი-სი ბანკი" ლიდერობს. კლიენტების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების მიხედვით კი, "თი-ბი-სი ბანკის" შემდეგ, "საქართველოს ბანკი" მოდის.

ოფიციალური სტატისტიკით, რამდენადმე გაზრდილია ბანკების შემოსავლები და მოგება.

კერძოდ, შემოსავლები, შარშანდელთან შედარებით, 37,6 მილიონი ლარით ანუ 34,8 პროცენტით გაიზარდა და 145,5 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება კომერციული ბანკების წმინდა მოგებას. გასულ წელთან შედარებით, მისი მოცულობა 14,3 მილიონი ლარით ანუ თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 21,6 მილიონ ლარს შეადგენს.

სპეციალისტთა განმარტებით, თუ ბანკების წმინდა მოგების ზრდის ასეთი ტემპი შენარჩუნდება, წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, რეკორდულიც აღმოჩნდეს.

ცნობისათვის, კომერციული ბანკების ყველაზე მაღალი მოცულობის წმინდა მოგება, რომელიც 49.6 მილიონი ლარით განისაზღვრა, 2003 წელს დაფიქსირდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2005 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით საქართველოს კომერციული ბანკების კონსოლიდირებული მთლიანი სესხები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 66 პროცენტით გაიზარდა და 1 229 400 160 ლარი შეადგინა.

კომერციული ბანკები საკრედიტო პორტფელის ფორმირებისას უპირატესობას ეკონომიკის გარკვეულ სექტორებს ანიჭებენ. ყველაზე მეტად სესხები ვაჭრობისა და მომსახურების სექტორისთვის გაიცემა.

პირველი ივლისის მდგომარეობით, ამ სექტორზე გაცემული სესხები 194 მილიონი ლარითაა გაზრდილი. 93 მილიონით გაიზარდა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. 44 მილიონით კი სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი სექტორის დაკრედიტება.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში 56 მილიონითაა გაზრდილი სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა, მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკების მხრიდან ეს სფერო ყველაზე მაღალი რისკის მქონე მიმართულებადაა შეფასებული.

**24 საათი**


## საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭო აცხადებს

# კონკურსს

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

**კანდიდატს მოეთხოვება:**

1. უმაღლესი განათლება (სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ან მენეჯმენტის დარგში.);
2. სულ მცირე ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება;
3. მართვის გამოცდილება, სასურველია მედიის სფეროში;
4. სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
5. სასურველია უცხო ენების ცოდნა.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლში მითითებული საბუთები:
   ა) წერილობითი განცხადება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;
   ბ) ავტობიოგრაფია;
   გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;
   დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
   ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ვ) შრომის წიგნაკი ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები;
   თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
   ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
2. საზოგადოებრივი მაუწყებლობის განვითარების ხედვა (სულ მცირე 500 სიტყვამდე).
3. ორი დახასიათება/რეკომენდაცია სამუშაო ადგილებიდან ან პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 23 ივლისიდან 6 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. 68, საკონტაქტო პირი ეკა კოპაძე. განცხადების, ბიოგრაფიის და კონცეფციის ელექტრონული ვერსია უნდა გაეგზავნოს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგ მისამართზე levan@crrc.ge.







## მოკლედ

### ვლადიმერ არუთინიანს ბრალი ტერორიზმის მუხლითაც წაუყენეს

20 ივლისს ვაშლიჯვარში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებულ ვლადიმერ არუთინიანს, რომელიც ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება, გუშინ ბრალი ტერორიზმის მუხლითაც წაუყენეს, რომელიც 8-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გაცილებით მძიმე სასჯელს - 20 წლით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს ის ბრალდება, რომელიც არუთინიანს შს სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის ზურაბ ქვლივიძის განზრახ მკვლელობისათვის წაუყენეს.

არუთინიანი 20 ივლისს სპეცოპერაციის შემდეგ დააკავეს. ტერორიზმში ეჭვმიტანილმა ბრალდება კიდევ უფრო დაიმძიმა და სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც ზურაბ ქვლივიძე სასიკვდილოდ დაიჭრა.

არუთინიანის ადვოკატის გულიკო ჯიმშელაძის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი იარაღის უკანონო ტარებას აღიარებს, თუმცა ხელყუმბარის სროლის ფაქტს ტერორისტული აქტის მცდელობდ არ მიიჩნევს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### მიხეილ სააკაშვილმა დაღუპული პოლიციელის ოჯახი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ვაშლიჯვარში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული შს სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის ზურაბ ქვლივიძის ოჯახი მოინახულა.

პრეზიდენტმა სპეცოპერაციის დროს დაღუპული ქვლივიძის მეუღლეს პირადად გადასცა გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი და ოჯახს შესაბამის მატერიალურ დახმარებას დაჰპირდა.

პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს მომავალში ქვლივიძეების ოჯახი ახალი ბინით იქნება დაკმაყოფილებული.

"ჩვენ არასდროს ვივიწყებთ იმ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის თავს წირავენ", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

დაღუპული ზურაბ ქვლივიძის ოჯახი პრეზიდენტთან ერთად შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმაც მოინახულა და ოჯახს ქვლივიძის კუთვნილი ათი წლის ხელფასი გადასცა.

**ინტერპრესნიუსი**

### სახალხო დამცველის აპარატი ძალოვანი უწყებების შემოწმებას იწყებს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა მონიტორინგის ჯგუფმა ძალოვანი უწყებების კომპლექსური შემოწმება დაიწყო. მონიტორინგი რეგიონების მასშტაბით განხორციელდება და იგი პოლიციის განყოფილებებთან წინასწარი დაკავების ადგილებთან და საპატიმროებთან ერთად სამხედრო ობიექტებსაც მოიცავს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის პრესსამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გახელაძე აცხადებს, ომბუდსმენის სახელზე ძალოვან უწყებებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით არაერთი მიმართვა შევიდა, თუმცა მონიტორინგის ჯგუფს მათი გადამოწმების შესაძლებლობა აქამდე არ ჰქონდა.

მონიტორინგი გუშინ შიდა ქართლის რეგიონიდან დაიწყო.

**ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარაში პრივატიზაციის პროცესი გრძელდება. გუშინ ბავშვთა პოლიკლინიკასთან არსებული ობიექტი ერთადერთი იყო, რომელიც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გაიტანა. ობიექტი, საწყის ფასთან შედარებით, 4-ჯერ უფრო ძვირად გაიყიდა. აუქციონზე შეძენის 5 მსურველი იყო, საბოლოოდ რომან მახარაძემ ამორტიზებულ შენობაში 54 300 დოლარი გადაიხადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საავტომობილო გზის დაპროექტებასა და მის ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას საერთაშორისო ტენდერის მიერ შერჩეული კომპანია განახორციელებს. როგორც "ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" (ემ-სი-ჯი) ოფისში განაცხადეს, საერთაშორისო ტენდერი უკვე გამოცხადდა და გამარჯვებული კომპანია სავარაუდოდ, სექტემბრის შუა რიცხვებში გამოვლინდება. სამცხე-ჯავახეთის საავტომობილო გზის დაპროექტებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებისთვის გამარჯვებული კომპანია 4,1 მილიონ დოლარს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე 31 ივლისს საბერძნეთში გაემგზავრება. როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს, გოცირიძე საბერძნეთის ქალაქ სალონიკში "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მმართველთა საბჭოს სპეციალური მეორე სხდომის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

სალონიკიდან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პოლონეთში გაემგზავრება, სადაც 1-5 აგვისტოს მისი ოფიციალური ვიზიტი შედგება. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "გრუ"-ს პოლკოვნიკი

## რომლის შესახებაც საქართველოს ხელისუფლება ერთი წლის წინაც საუბრობდა

პირველი გვერდიდან

რომ ვლადიკავკაზის სიახლოვეს მდებარე რუსულ ბაზაზე, "სპუტნიკში", რუსი სამხედროები წვრთნიან სამხრეთ ოსეთის 200 მაცხოვრებელს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა აქტს გეგმავენ. ნიკა ტაბატაძის განცხადებით, სამხედრო წვრთნებს ხელმძღვანელობდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის სამხედრო თანაშემწე ანატოლი სისოევი. მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ ნიკა ტაბატაძემ ფოტო წარმოადგინა. ფოტოებზე გადაღებული იყო ცხინვალში მოძრავი მანქანა, რომელიც ვლადიკავკაზში განლაგებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე დივიზიის კუთვნილება გახლდათ და რომელსაც იყენებდნენ საქართველო-ოსეთის კონფლიქტში სპეციალურად გაწვრთნილი შეიარაღებული პირების გადასაყვანად. ეს ის 58-ე დივიზია გახლავთ, რომლის შესახებაც გუშინწინ ვანო მერაბიშვილი საუბრობდა და სადაც ტერორისტული ჯგუფები გადიოდნენ სადაზვერვო-დივერსიულ მომზადებას.

ვლადიკავკაზში დაბანაკებული ანატოლი სისოევის დაჯგუფების შესახებ, მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრთან სერგეი ივანოვთან შეხვედრისას, ერთი წლის წინ საუბრობდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი გიორგი ბარამიძე. ანატოლი სისოევისა და მისი ტერორისტულ-დივერსიული ჯგუფის არსებობა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ გამოავლინა. გუშინწინ გორში გამართულ ბრიფინგზე მან ამის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან რამდენიმე თვეში ანატოლი სისოევის მიერ მომზადებულმა ჯგუფმა 2004 წლის 9 ოქტომბერს გორის სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2"-ის N365 და "ლიახვი"-ს N57 ანძები ააფეთქა; იმავე დღეს კასპის რაიონში, "გრკალი-მეტეხი"-ს გადასარბენზე, რკინიგზის ლიანდაგიც ააფეთქა და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან მდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგურიც "აილო"; ბოლოს კი - გორის ტერაქტი.

დასახელებული ტერორისტულ-დივერსიულ აქტებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი შეტაკება მოხდა. სოფელ მეჯვრისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტისას სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის ერთი წარმომადგენელი, სოფელ წინაგარაში მცხოვრები 27 წლის ივანე მარგიევი დაიღუპა, ორი დაჭრილი - უფროსი ლეიტენანტი ილია ხაჩიროვი და რიგითი ვალერი ზერანოვი გორის საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო სპეცოპერაციისას დაკავებული სამი პირის ვინაობა საქართველოს შს სამინისტრომ მაშინ დაფარა. თუმცა, მეორე დღეს გავრცელებული ოპერატიული ინფორმაციით, ოსური სამშვიდობო ბატალიონის წევრებმა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დივერსიული აქტი დაგეგმეს - საუბარი იყო მაღალი ძაბვის მაგისტრალური ელექტროგადამცემის "ქართლი-2"-ის აფეთქებაზე. ამავე ინფორმაციით, იგივე ჯგუფი მორიგი დივერსიული აქტის მოწყობას გეგმავდა. დაკავებულთა სახელები მაშინაც სისოევის ჯგუფს დაუკავშირდა.

ერთი სიტყვით, ქართველმა სამართალდამცველებმა ანატოლი სისოევისა და მისი ჯგუფის წევრების გამოვლენაზე მუშაობა კარგა ხნის წინ დაიწყეს და შედეგსაც მიაღწიეს.

შს სამინისტრომ გუშინ ახალი ოპერატიული კადრებიც გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე დღის წინ დაკავებული გორის ტერაქტში ეჭვმიტანილები დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს აღიარებენ. მასალის მიხედვით, ტერაქტში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იოსებ კოჩიევი იმ ავტომანქანის შეძენის დეტალებს ჰყვება, რომელიც გორში სამხარეო პოლიციის შენობის წინ აფეთქდა. ამავე ვიდეომასალაზე ასახულია ავტომანქანის ყოფილი მეპატრონის, მოწმის - სოსო სოხაშვილის ჩვენება, რომელიც აცხადებს, რომ რამდენიმე თვის წინ მისგან ორმა პირმა თეთრი ფერის ავტომანქანა "ჟიგული" შეიძინა. მყიდველები ოსურ ენაზე საუბრობდნენ და ტელეფონით ვინმე ანდრეის ეკონტაქტებოდნენ.

გორის ტერაქტების გახსნასთან დაკავშირებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზეა გადასული. გაძლიერებულია ქართული პოლიციის საგუშაგოები ცხინვალის მიმდებარე სოფლებში, მათ შორის - კარალეთში, ტყვიავში და ერგნეთში; მოწმდება ყველა გამვლელი ავტომანქანა და მგზავრების საბუთები; მიმდინარეობს გორის ტერაქტში ეჭვმიტანილი 11 პირის, მათ შორის, ანატოლი სისოევის ძებნა და ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულები ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც. **"პირადი შემადგენლობა დიდი შემართებით არის განმსჭვალული და სიტუაცია ჯერჯერობით კონტროლირებადია. გორისა და სხვა ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირები, რომლებიც გუშინ გორში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე შს მინისტრმა დაასახელა, სავარაუდოდ, დე-ფაქტო სამხეთ ოსეთის ტერიტორიას უკვე ტოვებენ და ისინი ვლადიკავკაზში ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავლენ,"** - აცხადებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი.

შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს იმედი აქვს, რომ რუსული მხარე ქართველ კოლეგებს 1 თებერვლის გორის ტერაქტისა და სხვა ტერაქტების დამგეგმავებისა და მონაწილეების დაკავებასა და საქართველოსთვის გადმოცემაში დაეხმარება - ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც არ შეუშლის.

**24 საათი**




# "ჩვენ არ გვსურს რუსეთთან კონფრონტაცია"

პირველი გვერდიდან

**შეწყვეტს სეპარატიზმისა და ტერორიზმის მხარდაჭერას მის მეზობელ სახელმწიფოებში,"** - აღნიშნა მან.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის განცხადებით, სამწუხაროა, რომ უცხო ქვეყანა და მეზობელი სახელმწიფო აღმოჩნდა ჩარეული ისეთ სამარცხვინო აქტში, როგორიც გორში მომხდარი ტერაქტია.

**"საქართველოს ხელისუფლება ფრთხილად ეკიდებოდა ყველა ინფორმაციას, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ საკითხს, მაგრამ ფაქტები თავისთავად საუბრობენ იმაზე, რაც წარმოადგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა,"** - ხაზგასმით მიუთითა ნინო ბურჯანაძემ და პრეზიდენტის მსგავსად მადლიერება გამოხატა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და თავად მინისტრის მიმართ, რომელთაც უდიდესი სამუშაო ჩაატარეს გორის ტერაქტის გამოსაძიებლად.

**24 საათი**







# სტიქია აფხაზეთში

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის მთავრობამ თითქმის ორ მილიონ დოლარად შეაფასა ზარალი, რომელიც ივნისში რამდენიმედღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონს მიადგა. სტიქიამ ყველაზე მეტად მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე განლაგებული სოფლები დააზარალა. ვლადიმიროვკასა და განახლებაში 60-ზე მეტი სახლი დაიტბორა. არანაკლები ზიანი მიადგა გაგრის რეგიონს. იქ ღვარცოფმა წალეკა ცენტრალური ავტომაგისტრალის ზოგიერთი მონაკვეთი, რკინიგზის ლიანდაგები, ხიდები. რამდენიმე ათეული სახლი დაიტბორა დასახლება ცანდრიპშიც (ყოფილი განთიადი). საკურორტო სეზონის დასაწყისშივე სტიქიამ დიდად დააზარალა დასასვენებელი სახლი "სოლნეჩნი" - განადგურდა აუზი, სპორტული დარბაზი და სხვა ნაგებობები. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონები.

მთავრობის დახმარების გარეშე სტიქიის შედეგების დაძლევა მხოლოდ გაგრის რაიონმა მოახერხა. დანარჩენ რეგიონებს ხელისუფლება დახმარებას გაუწევს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გულრიფშის რაიონის სოფლებში შექმნილი ვითარება. მასშტაბური წყალდიდობა ბოლო წლებში აქ უკვე მეორედ მოხდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საუბარი იყო ნაპირსამაგრი ნაგებობის შექმნასა და მათ რეკონსტრუქციაზე. თუმცა, მოხდა ისე, რომ ნაპირსამაგრი ნაგებობები დროებითი საჭიროებისთვის აშენდა და მოსახლეობას მხოლოდ მცირე მასშტაბის წყალდიდობებისგან იცავდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ თუ მდინარეები ძალიან ადიდდება, ამ ნაგებობებს ადამიანების დაცვა არ შეუძლიათ. ამიტომ, იმ პირობებში, როდესაც მთავრობას დიდი ნაპირსამაგრი ნაგებობების ასაშენებლად თანხების გამოყოფა არ შეუძლია, გამორიცხული არ არის, დღის წესრიგში დადგეს სოფლების, ვლადიმიროვკისა და განთიადის რამდენიმე ათეული ოჯახის სხვა ადგილზე გადასახლების საკითხი. ეს კი ხელისუფლებას გაცილებით ძვირი დაუჯდება.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## რკინიგზა და გამოსავალი

ზაზა ფაჩუაშვილი

*აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა გაჩნდა, რომელზეც საზოგადოება პასუხს ხელისუფლებისგან ელის. ხელისუფლება კი, ჯერჯერობით, კონკრეტულს არაფერს ამბობს და აცხადებს, რომ ყველა დეტალი გათვალისწინებული იქნება. მაინც რა არის გასათვალისწინებელი და რა აუცილებელი პირობები უნდა წამოაყენოს საქართველომ? ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილს, რომელიც იმთავითვე რკინიგზის გახსნის მომხრე იყო და რომელსაც ხელისუფლების პოზიციის ბრმად გაზიარებაში ვერავინ დაადანაშაულებს.*



პაატა ზაქარეიშვილი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

### ფაქტი

**პაატა ზაქარეიშვილი:** "დავიწყოთ იმით, რომ რეალურად აფხაზეთის რკინიგზა ამოქმედებულია. მართალია, ეს არის იმის შედეგი, რომ რუსეთი უტიფრად და თავხედურად არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმასა და კანონს, მაგრამ ასეა. რუსეთს ამ საქმეში ხელს არავინ უშლის და ის, რისიც გვეშინია - აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაცია - კარგა ხანია, მზარდი ტემპით მიმდინარეობს. ამგვარად აფხაზეთი მიბმულია რუსეთზე და ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე - აფხაზეთი გახდა რუსეთის სარკინიგზო ჩიხი.

რისი გაკეთება შეიძლება ასეთ ვითარებაში? - ჩვენ შეგვიძლია რკინიგზის საშუალებით აფხაზეთი ისევ ამიერკავკასიაში დავაბრუნოთ და უკვე ჩვენ მხარეს მივაბათ".

### რკინიგზის საჭიროება

**პაატა ზაქარეიშვილი:** "აფხაზეთის რკინიგზაზე საუბრისას მთავარია, გამოვკვეთოთ, გვჭირდება თუ არა ჩვენ (საქართველოს) ეს რკინიგზა. თუ ჩვენ რკინიგზა გვჭირდება (და რა თქმა უნდა, ეს ასეა), დაე, სჭირდებოდეს რუსეთსაც და სომხეთსაც. მთავარი ხომ საქართველოს ინტერესებია. ჩვენ კი ამ გზით რუსეთზე პირდაპირ გავდივართ სხვა სახელმწიფოს გარეშე. დღეს ამისათვის ბაჟს ვუხდით აზერბაიჯანს, თანაც ის გზა არის გრძელი და ძვირი ჩვენი ბიზნესმენებისათვის. აფხაზეთის რკინიგზა ბევრად უფრო მოკლე, სწრაფი და იაფია, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასაც და საქართველოს ეკონომიკურ სარგებელსაც.

მე იმაშიც ღრად ვარ დარწმუნებული, რომ რკინიგზის გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას".

### დევნილების დაბრუნება

**პაატა ზაქარეიშვილი:** "დღემდე რკინიგზის გახსნა მიბმული იყო დევნილების დაბრუნებასთან და, როგორც ვხედავთ, ამან შედეგი არ გამოიღო. ვერც დევნილები ბრუნდებიან და არც რკინიგზა იხსნება. რკინიგზის აღდგენა დევნილების დაბრუნების ფაქტორი ვერ გახდა. მოდი, ვცადოთ ჯერ რკინიგზის აღდგენა, რამაც სავსებით შესაძლებელია, დევნილების დაბრუნების პროვოცირება გამოიწვიოს. თუ არ გამოიწვევს, სხვა სარგებელი მაინც ვნახოთ - ეკონომიკური მოგება და აფხაზეთის კავკასიაში დაბრუნება.

სხვა საკითხია, ხომ არ შეაფერხებს რკინიგზის გახსნა დევნილების დაბრუნებას, მაგრამ რაც არ არსებობს, იმის შეფერხება შეუძლებელია. დაბრუნების პროცესის გამოცოცხლების შანსი კი გაჩნდება და ჩვენ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ".

### რისკის სამი ფაქტორი

**პაატა ზაქარეიშვილი:** "1. ჩვენთან ეშინიათ იმის, რომ შეიძლება, მუშები რუსეთიდან შემოიყვანონ. ამის საშიშროება მართლაც არსებობს, ამიტომ საჭიროა სერიოზული მოლაპარაკებები, რომ საქართველომ ეს არ დაუშვას. ჩვენ უნდა დავაყენოთ პირობა, რომ რკინიგზის აღდგენაზე უნდა დასაქმდეს მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრები ხალხი და დევნილები. თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, ძალიან კარგი იქნება, ვინაიდან რკინიგზაზე დასაქმდებიან დევნილებიც, კვალიფიციური რკინიგზელები და სწორედ ეს იქნება დაბრუნების პროცესის გამოცოცხლების დასაწყისი.

იმედის საფუძველს გვაძლევს ენგურჰესის მაგალითი - ჰიდროელექტროსადგური აფხაზეთის ტერიტორიაზეა, მაგრამ მუშები სულ ქართველები არიან.

2. ჩვენთან შეშფოთებას იწვევს საბაჟოსა და რკინიგზის კონტროლის საკითხიც, მაგრამ გამოსავალი აქაც არსებობს. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ აფხაზეთში კონფლიქტური ვითარების გამო, ვთხოვთ რუსეთს, ქართული საბაჟო გაგვახსნევინოს ფსოუს მეორე ნაპირზე, სოჭის ტერიტორიაზე, სადაც მოხდება სარკინიგზო ტვირთების ერთობლივი შემოწმება.

3. რკინიგზასთან დაკავშირებით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე, აზერბაიჯანის შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთში შეიძლება იარაღის შეტანა მოხდეს. ვინაიდან ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც, ხელშეკრულებაში უნდა ჩავდოთ პირობა, რომ საქართველოს არ სურს, რკინიგზის გახსნამ მეზობელ ქვეყნებთან ვითარება დაძაბოს. ამიტომ საქართველო იტოვებს უფლებას, შეამოწმოს და არ გაატაროს ისეთი ტვირთი, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ.

თუ რუსეთი უარს განაცხადებს ჩვენი რომელიმე პირობის დაკმაყოფილებაზე, მაშინ აფხაზეთის რკინიგზის პროექტის ჩაშლის პასუხისმგებლობა მთლიანად მას დაეკისრება და ჩვენ პოლიტიკურად მოგებიან პოზიციაში აღმოვჩნდებით".

## "აფსნი რუ" რკინიგზის შესახებ

დღესდღეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე მოძრაობს სამგზავრო მატარებლები სოხუმი-მოსკოვისა და სოხუმი-ადლერის მიმართულებით. სატვირთო გადაზიდვები პრაქტიკულად არ წარმოებს. რკინიგზის მუშაკების რაოდენობა 7-ჯერ შემცირდა და მხოლოდ 500 ადამიანს შეადგენს. რკინიგზა არის ერთხაზიანი, რომელზეც მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე განსაზღვრულია 60 კმ/საათით.

როგორც აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელს მიხეილ აკულოვს განუცხადა, აფხაზეთის ხელისუფლება მზადაა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა სამგზავრო სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის აღდგეს.

მისი თქმით, ამას აფხაზეთის ეკონომიკური აღმავლობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

### პრეზიდენტის განკარგულება

აფხაზეთში სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანისთვის სერგეი ბაგაფშმა "ახიდ-აფშას" (ღირსება და დიდება) მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა იბრაგიმ ჯინჯოლია, გიორგი პაროტიდი და ივანე გუბაზი.

## ცხოვრების ახალი ეტაპი გალში

ლელა მარგიანი

*გალელების ინფორმაციით, ამჟამად გალში იცვლება ძირეული ცხოვრებისეული პირობები. მართალია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ წინა ხელისუფლება საერთოდ არაფერს აკეთებდა და გალში ახლა მოხდა "გადატრიალება", მაგრამ ფაქტია, რომ იქ ცხოვრების რაღაც ეტაპი დამთავრდა. გაუსაძლის პირობებს უკვე წერტილი დაესვა და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ქართული მოსახლეობით დასახლებული გალი არის პატარა საქართველო აფხაზეთში.*

მართლაც გალია აფხაზეთსა და საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღმდგენი. როგორც არჩევნების დროს მთელი დატვირთვა გალზე მოდიოდა, დღესაც ბევრი რამ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გალის რაიონზეა დამოკიდებული. ფაქტია, რომ ამჟამად გალში მცხოვრები ქართველები აღიარებენ აფხაზეთის კანონებს, თუნდაც დე-ფაქტოს, მაგრამ ამავე დროს, გალში დაბრუნებული ქართველები ვალდებულად თვლიან თავს ჩვენს შორის "ჩატეხილი" ხიდი აღადგინონ. თუმცა, ეს მხოლოდ ცალკეული პიროვნებების დონეზე კი არ უნდა კეთდებოდეს, არამედ ეს საქართველოს თითოეული მაცხოვრებლის მოვალეობა უნდა იყოს.

გალელების თქმით, მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თბილისიდან ამ მხრივ კარგი ნიავი უბერავდეს. ეს არის ძალიან დიდი ზურგი და მხარდაჭერა იქაური ქართველებისთვის.

**"არის ხელშეწყობა, რომ კარგად ვიყოთ აფხაზებთან. მე მქონდა შეხვედრა გალის, აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურების პირველ პირებთან და ეს შეხვედრა იყო არაჩვეულებრივი. ისინი ახალი ძალები არიან და მათთან შეხვედრისას მე ერთ რამეში დავრწმუნდი. მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ხარ, ცუდად არ მოგექცევიან, პირიქით, ყურადღებით მოგისმენენ, ობიექტურად გადაწყვეტენ ყველაფერს. მათ აქვთ განსჯის უნარი, მოსმენის კულტურა. შეუძლიათ თანადგომა და ურთიერთობისათვის მზად არიან. ეს არაჩვეულებრივია და თუ ჩვენ, გალელებმა და რაიონში მცხოვრებმა აფხაზებმა ამას მივაღწიეთ, იმის რეალური საფუძველიც არსებობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება,"** - მიაჩნია გალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს ქალბატონ თინა ქეცბაიას.

თუკი შერიგება და ძველებურად მშვიდობიანი თანაცხოვრება გვინდა, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, ერთმანეთის ტკივილი გვტკიოდეს და სიხარული გვიხაროდეს. რომ აღდგეს ნდობის ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის, რაღაცეებზე "თვალის დახუჭვაც" მოგვიწევს. ამჯერად ასეა საჭირო. მაშინ ისინი დაგვიჯერებენ და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით. ამისკენ გადადგმული მცირე ნაბიჯები კი უკვე არის.

ამ "მცირე" ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რომელიც უკვე დაწყებულია აფხაზეთში.

ცოტა ხნის წინათ, ათმა გალელმა ახალგაზრდამ, "ღია საზოგადოება-საქართველოს" პროექტის ფარგლებში, უკვე გაიარა თბილისში ერთთვიანი ტრენინგები. 32-დან 40-წლამდე ახალგაზრდებს, რომელთა უმეტესობას წლების განმავლობაში არ დაუტოვებია გალი და გაჭირვების, შიმშილის, სიდუხჭირის, უიმედობის პირობებში ცხოვრობდა თბილისში სწავლისა და დასვენებისთვის შესანიშნავი პირობები შეუქმნეს. ცხოვრობდნენ კეთილმოწყობილ, მყუდრო სასტუმროში, ტრენინგებს კარგი სპეციალისტები უტარებდნენ. პრაქტიკაზე იყვნენ ახალციხესა და ახალქალაქში. თურმე გალში დაბრუნებულები აღიარებდნენ, რომ "თავი სიზმარში" ეგონათ.

მათ ჯერ არ დაუწყიათ მუშაობა, რადგან მიმდინარეობს ოფისის რემონტი. თუმცა, ფონდის მიერ უკვე შეძენილია სათანადო საოფისე ინვენტარი, კომპიუტერები. მალე რემონტი დასრულდება და ათიდან ხუთი ახალგაზრდა, რომელმაც აიღო სერთიფიკატები, მუშაობას შეუდგება გალის რაიონის "ბიზნეს-ცენტრში", რომელიც მოემსახურება როგორც გალის, ასევე ტყვარჩელისა და ოჩამჩირის მოსახლეობას.

"ბიზნესცენტრი" აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში უკვე დამოუკიდებელ ორგანიზაციად არის გატარებული. იგი "გალის რაიონის ქალთა ასოციაციის" ბაზაზე დაფუძნდა და მისი კოორდინატორი გახლავთ ქალბატონი თინა.

**"ჩვენ დავეხმარებით ნებისმიერ მსურველს, ვინც მოინდომებს საქმიანობის დაწყებას. "ცენტრში" მომუშავე ახალგაზრდებს ექნებათ ხელფასი, ისინი მსურველებს დაეხმარებიან ბიზნესგეგმის შედგენაში, გაუწევენ კონსულტაციებს, ასწავლიან პროექტების წერას, მოკლედ, "ბიზნესცენტრი" იქნება შუამავალი მოსახლეობასა და ინვესტორებს შორის,"** - გვითხრა თბილისში სტუმრობისას თინა ქეცბაიამ.

მისივე ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ "ბიზნესცენტრი" არ მუშაობს, მათ უკვე ბევრმა ადამიანმა, მათ შორის აფხაზებმაც მიმართეს, ძირითადად მამაკაცებმა. "ცენტრში" მოხდება არა მხოლოდ მიკროსესხების გაცემა, არამედ გაიცემა დიდი სესხებიც საწარმოების ასამუშავებლად.

## მეგობართა ჯგუფის განცხადება

*რამდენიმე დღის წინათ თბილისში გაეროს ეგიდით დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე აფხაზური მხარე არ გამოცხადდა. სერგეი შამბას განცხადებით შეხვედრა არ შედგება, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთს არ დაუბრუნებს თურქულ ტვირთს, რომელიც თურქულ გემს საქართველოს ტერიტორიული წყლებიდან უკანონოდ გადაჰქონდა სოხუმში. ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის მეგობართა ჯგუფმა, რომელშიც შედიან გერმანია, საფრანგეთი, აშშ, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი.*

მეგობართა ჯგუფი წუხს, რომ აფხაზურმა მხარემ შეხვედრაში მონაწილეობა გადადო თურქული გემის დაკავებასთან დაკავშირებით.

მეგობართა ჯგუფს მიაჩნია, რომ აფხაზურმა მხარემ ხელიდან გაუშვა საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და გაეროს ფორმატში უსაფრთხოების გარანტიების საკითხებზე დისკუსიის დაწყების შესაძლებლობა.

მეგობართა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სწორედ აფხაზური მხარე მიმართავდა გაეროსა და მეგობართა ჯგუფს დახმარებისათვის, რათა მიღწეულიყო შეთანხმება უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით.

მეგობართა ჯგუფი იმედოვნებს, რომ შეხვედრა ორივე მხარის სრული მონაწილეობით უახლოეს მომავალში შედგება. მეგობართა ჯგუფი რეკომენდაციით მიმართავს გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში, რომ იგი ამ საკითხების გასარკვევად დაუკავშირდეს აფხაზურ მხარეს.

მეგობართა ჯგუფს მიაჩნია, რომ აფხაზური მხარის მიერ შეხვედრის კიდევ ერთხელ გადადება არაპროდუქტიული იქნება. აფხაზური მხარისათვის საკუთარი შეხედულებების ახლა ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მომავალ კვირაში გაეროს უშიშროების საბჭომ ახალი რეზოლუცია უნდა მიიღოს.

### გადარჩენილი ფოტოები



**მენატრები!**

*ოჩამჩირე, 1974 წელი. აფხაზი პოეტის ქეზიმ აგუმაას მეუღლე ქვიქვი კვეკვესკირი, შუაში მისი შვილიშვილი, მარცხნივ - კახა ჩიქოვანი, მარჯვნივ - გივი ჩიქოვანი. ფოტო მოგვაწოდა ზურაბ ჩიქოვანმა.*

### გურამ ოდიშარიას სვეტი

## გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* ცხინვალში მშვიდი შუადღეა. რესტორან "ელდორადოში" ვსხედვართ (რატომღაც მახსენდება თბილისში ცნობილი რესტორანი "დაკარგული სამოთხე").

მეგობარი ერთ ისტორიას მიყვება: ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების პირველივე დღეს, დილაუთენია, ცხინვალს ავტომატების გამაყრუებელი სროლები აღვიძებს. ცხინვალელი მხიარული კაცი (გიჟი როგორ ვაკადრო), მთელ ქალაქში კარგად ცნობილი ვოვოჩკა ოსებთან მიდის და ეჩხუბება - "რას სჩადიხართ, რატომ ისვრით? რატომ გააღვიძეთ ქალაქი? რატომ აწუხებთ ადამიანებს? რატომ ჩახერგეთ ქუჩა ბლოკებით? დაშალეთ ბარიკადები, ქუჩაში მანქანებმა და ადამიანებმა უნდა იარონ!.."

ვოვას ნახევარი საათის განმავლობაში უხსნიან, რომ ქართველები მოვიდნენ საომრად, მათ პირველებმა ააგეს ბარიკადები, პირველებმა ისროლეს, რომ ოსები თავს იცავენ და ასე შემდეგ.

ნახევარი საათის შემდეგ ვოვა გადაწყვეტს, ქართველებსაც ასწავლოს ჭკუა, გადაევლება ბარიკადებს და ქართველების ბარიკადებისაკენ მიდის.

- Ребята, не стреляйте, он ненормальный! - უძახიან ოსები ქართველებს.

- Вы все ненормальные, потому что с нами воюте! - პასუხობენ ქართველები ოსებს.

მაგრამ სროლები წყდება.

ვოვა გადადის ქართველების ბარიკადზე და შემდეგ მთელი ორსაათნახევარი არ ჩანს.

- ხომ არ მოკლეს? - ერთმანეთს ეკითხებიან ოსები.

ორ საათ-ნახევრის შემდეგ ვოვა ტოვებს ქართველების ბარიკადებს და ოსებისკენ ბრუნდება. თან ფეხი ერევა. მთვრალია, ქართველებმა ღვინო დაალევინეს.

ვოვა გადმოდის ოსების ბარიკადზე და თანაქალაქელებს ეუბნება - "ქართველებს მოველაპარაკე, ისინი აწი არ გაისვრიან, ღვინოც დავლიეთ ამის აღსანიშნავად, მშვიდობის სადღეგრძელო ვთქვით."

იცინიან ოსები. იცინიან ქართველები. არ იცინის ვოვა.

რაც მთავარია, სანამ ვოვა სამშვიდობო მისიას ასრულებდა, არც ერთი მხრიდან ერთი გასროლაც არ ყოფილა. ვოვამ თითქმის სამი საათის განმავლობაში შეაჩერა ომი. ვერავინ შეაჩერა ომი. ვოვამ კი სამი საათით შეაჩერა.

ვოვა დღეს ცოცხალი არ არის.

დაე, სულ ნათელში იყო მისი უმანკო სული!

* ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი რომანში "გაიქეცი კურდღელო, გაიქეცი", მოგვითხრობს ერთი ოჯახის ქალბატონზე, რომელსაც სულ რამდენიმე წამში შეუძლია წარმოიდგინოს, როგორი იქნება ლოგინში ის მამაკაცი, რომელიც მოეწონება.

ერთხელაც, ის ქალი თეთრ სახლთან ტაქსით გადის. ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედია. ქალბატონი გაოცებული "აღმოაჩენს", რომ მას რატომღაც არასოდეს წარმოუდგენია, როგორი შეიძლება იყოს ლოგინში ამერიკის საკმაოდ ახალგაზრდა, სიმპათიური პრეზიდენტი.

ქალი "ჩართავს" წარმოსახვას, მაგრამ არაფერი გამოსდის; მთელი ღამე ეწამება, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენს, თუ როგორი შეიძლება იყოს კენედი ლოგინში.

ქალი გაოგნებულია, მაგრამ გამთენიისას მიხვდება მიზეზს და საკუთარ თავს ეუბნება - "ის ხომ პრეზიდენტია!"

სტატისტიკამ, ჟურნალისტიკამ, კინოდოკუმენტალისტიკამ უამრავი მასალა შემოინახა კენედის შესახებ, მაგრამ მწერალმა ჯონ აპდაიკმა სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა სეხნია - "ის ხომ პრეზიდენტია!" აი, ვინ იყო იმდროინდელი ამერიკელებისათვის პრეზიდენტი კენედი.

კავკასიის ქვეყნების ისტორიებს საგრძნობლად აკლიათ ლიტერატურა, ჭეშმარიტი მწერლების მიერ დანახული დღევანდელობა და ლიდერები.

ისე, უხამსობაში ნუ ჩამომართმევთ და, მაინტერესებს, ამერიკელი ქალბატონის მეთოდის გამოყენებით, შეძლებდნენ თუ არა იმ ქალბატონის მსგავსი აქაური ქალები დღეს თავიანთი ქვეყნების პრეზიდენტების წარმოდგენას პიკანტურ სიტუაციაში?

* კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და შემდგომაც ყოველთვის არსებობდა და არსებობს: ქართულ-ქართული, რუსულ-რუსული, აფხაზურ-აფხაზური, ოსურ-ოსური, სომხურ-სომხური, ჩეჩნურ-ჩეჩნური, აზერბაიჯანულ-აზერბაიჯანული და ა.შ. კონფლიქტები.

* "პოლიციის განყოფილებაში მე სახელმწიფოს ვხვდები", - დაახლოებით ასე წერს სადღაც ველიმირ ხლებნიკოვი.

* პოლიტიკოსთა აბსოლუტურ უმრავლესობას ისევე სწრაფად ივიწყებენ, როგორც იმახსოვრებენ.

* ის, რაც უსასრულოდ მეორდება, კვდება.

* ყალბი სამშვიდობო ინიციატივების "ბუმი" კომუნისტურ-კომკავშირულ პერიოდს იმეორებს.

* ჩვენი სამშობლო ისეთია, როგორებიც ვართ ჩვენ. ჩვენი შვილების სამშობლო ჩვენი შვილებისნაირი იქნება.

* მეცხვარეებმა ცხვარი მგლებისგან იხსნეს. ბრძოლის შემდეგ კი გამარჯვება აღნიშნეს, ქეიფი დაიწყეს და დაკლეს მგლებს გადარჩენილი ცხვრები, უკლებლივ ყველა. ღვინოც სანაქებო ჰქონდათ.

* კულტურა აქვავებს აგრესიას და ხელოვნების ნიმუშად გარდაქმნის.

* ჩვენ, კავკასიელები, თურმე ვართ - музейно-кинжальный народ.

* მოლაპარაკება პარტიული ვულგარიზმისა და პრიმიტიული პატრიოტიზმის ჭაობში იხრჩობა.

* ახლა მეტად გვჭირდება "გონის მოძრაობა", "გონის ქმედება", "გონის გაკეთილშობილება".

* დიდი ომის (ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომის) შემდეგ გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც სწრაფად იწყებენ აღორძინებას. პატარა ომების შემდეგ კი დიდხანს გრძელდება საერთო-სახალხო დეპრესია, იზრდება თვითმკვლელთა რიცხვი, არ მთავრდება ომი...

* როგორც ავტორბოლაში ისე, დროის რომელიღაც პერიოდში დაწინაურდება ხოლმე რომელიმე სიტყვა და, გარკვეული ხნის განმავლობაში, დიდი და პატარა იმ სიტყვას ამოიჩემებს ხოლმე. ინფექციასავითაა მთელი ეს პროცესი: პლურალიზმი, პლურალიზმი, პლურალიზმი... კონსენსუსი, კონსენსუსი, კონსენსუსი... ჰარიზმა, ჰარიზმა, ჰარიზმა... ტრანსფორმაცია, ტრანსფორმაცია, ტრანსფორმაცია...

* კავკასიის ხალხების გამაერთიანებელი, ეს - лица кавказской национальности კავკასიის რომელიმე ერთი ხალხისთვის რომ შეერქვათ, დიდ პროტესტს გამოიწვევდა, მაგრამ რადგანაც ყველა კავკასიელს ეხება, ყველანი ერთად ვმხიარულობთ, ვხუმრობთ, ანეკდოტებს ვქმნით ამის გამო, მოგვწონს კიდევაც ეს - лица кавказской национальности. რატომღაც მახსენდება ანეკდოტი 100 რაჭველზე, რომლებსაც ერთი კაცი მოსდევს. გამვლელი ეკითხება რაჭველებს, თქვენ ასნი ხართ, ის ერთი და რატომ გარბიხართო. რაჭველები პასუხობენ - ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, კონკრეტულად რომელს მოგვდევსო.

* ტრენინგ-სემინარი. მოხუცმა ლტოლვილმა ქალბატონებმა ისწავლეს ახალი სიტყვა "კოფე-ბრეიკი" და როდესაც ყავისა და ნამცხვრის მოტანას აგვიანებენ, მკაცრად კითხულობენ - "ეს რა ტრენინგია ასეთი, კოფე-ბრეიკი რომ არ მოაქვთ?!"

ერთ-ერთ მათგანს ავადმყოფი შვილიშვილისათვის მიაქვს მისი კუთვნილი ყავა და ნამცხვარი (ტრენინგს კომპაქტურ ცენტრში ატარებენ უცხოელები). მოხუცი კარის ზღურბლზე წაბორძიკდება და ეცემა, ეღვრება ყავა. მას წამოაყენებენ, ყავას ჩამოუსხამენ, ნამცხვარსა და შოკოლადს უმატებენ. ის შვილიშვილისაკენ განაგრძობს გზას.

* ჩემი ერთი მეგობარი ჩუმად აკეთებს საქმეს, ხოლო მეორე კი - მხოლოდ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ უნდა აკეთო საქმე.

* ფროიდი, დღეს რომ ეცხოვრა, დაწერდა: ადამიანის ფსიქიკას წარმართავს სამი რამ - სექსი, სიზმარი და ტელევიზორი.

**გაგრძელება იქნება**

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი Conciliation Resources

# აშშ ყირგიზეთში სამხედრო ბაზებს ჭერჭერობით შეინარჩუნებს

პირველი გვერდიდან

ვიზიტის მიზანი ამ რეგიონიდან აშშ-ს სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (ძირითადად რუსეთისა და ჩინეთის) მხრიდან ზეწოლის შესუსტების გარდა, აშშ-ყირგიზეთის სამხედრო-ტექნიკური ხასიათის თანამშრომლობის განხილვაც იყო.

ყირგიზეთის ტერიტორიაზე არსებულ აშშ-ს სამხედრო ბაზაზე "მანას"-ი დაახლოებით 1 000 ამერიკელი სამხედრო პირი იმყოფება, მაგრამ ყირგიზეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა ამ რეგიონში, სადაც ოფიციალურ ვაშინგტონს სამხედრო ბაზა აქვს. ამერიკელი ჯარისკაცები იმყოფებიან მეზობელ უზბეკეთშიც.

აშშ-მ ყირგიზეთსა და უზბეკეთში სამხედრო ბაზების განთავსება ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების წინ გადაწყვიტა, რაც მას მოხერხებულ საავიაციო პლაცდარმს შეუქმნიდა.

შანხაის ორგანიზაცია აშშ-ს უზბეკეთიდან სამხედრო ბაზების გაყვანის ვადების დასახელებასაც სთხოვს. ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მოლაპარაკებების გამართვა, სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით, ასტანის სამიტზე გაფორმებული დოკუმენტების შემდეგ გახდა საჭირო. ყირგიზეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის კურმანბეკ ბაკიევისა და მისი უზბეკი კოლეგის ისლამ კარიმოვის ფრთხილი მინიშნებები, ბაზების გაყვანის აუცილებლობასთან დაკავშირებით, აშშ-ში მყისიერად იქნა აღქმული, რის შემდეგაც ამერიკელი თავდაცვის მდივნის სტუმრობამაც რეგიონში არ დააყოვნა.


ყირგიზეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა ამ რეგიონში, სადაც ოფიციალურ ვაშინგტონს სამხედრო ბაზა აქვს.

ცენტრალური აზიის რეგიონში რამსფელდის ვიზიტის დროს გაკეთებულ განცხადებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი მაღალჩინოსნის ტურნე წარმატებული აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმის საფუძველს ამერიკელი სამხედროებისადმი რამსფელდის მიმართვა იძლევა.

**"მე თქვენ ჩემოდნებს არ ჩაგალაგებინებთ,"** - თქვა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ჯარისკაცებთან შეხვედრისას.

"ბი-ბი-სი"-ს თანახმად, თუ ცენტრალური აზიის ქვეყნების მოთხოვნა ვადების დასახელებასთან დაკავშირებით, ამავე რეგიონში უკანასკნელ ხანს შექმნილი არასტაბილური ვითარებით იყო განპირობებული, რუსეთისა და ჩინეთის დაინტერესება უდავოდ აშშ-ს გავლენის შემცირება იყო.




# ამერიკამ ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტი ცნო

თიკო მაჭარაშვილი

*აშშ-მ გუშინ ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტი, ფაქტობრივად, ცნო და ამით უზრუნველყო პეკინში ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის გახსნა, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი ქვეყანა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, აშშ, რუსეთი, ჩინეთი და იაპონია.*

აშშ-მ, ფაქტობრივად, ცნო ჩრდილოეთ კორეის სუვერენიტეტი იმ პირობით, რომ პეკინში გუშინ ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი გაიმართებოდა. აშშ-მ მოითხოვა აგრეთვე, რომ ხელახლა მოხდეს ჩრდილოეთ კორეის ატომური იარაღის გადამოწმება.

**"ჩვენთვის ჩრდილოეთ კორეის სახალხო და დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი რეალობაა,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შორეული აღმოსავლეთის საკითხებში კრისტოფერ ჰილმა, რომელიც პეკინში ამერიკულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა. **"ჩვენ მოვუწოდებთ ჩრდილოეთ კორეას, რომ სრული და პერმანენტული გზით შეაჩეროს თავისი ბირთვული პროგრამა,"** - ხაზგასმით აღნიშნა კრისტოფერ ჰილმა.

ჩრდილოეთ კორეა თავის მხრივ მზად არის, იმუშაოს თავისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტაზე. **"ფხენიანის ბურთვული პროგრამის გაყინვა პოლიტიკური სურვილია, რაც სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს საჭიროებს,"** - განმარტა ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელმა კიმ გი-გვანმა.

ამერიკულმა დელეგაციამ ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს სურს, ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ პეკინში გამართული მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი, წინა სამი რაუნდისგან განსხვავებით, წარმატებით დამთავრდეს. **"ჩვენ მზად ვართ, იქამდე დავრჩეთ აქ, სანამ მოლაპარაკებებში პროგრესს არ მივაღწევთ,"** - აღნიშნა ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელმა კრისტოფერ ჰილმა. აშშ მზად არის, უსაფრთხოებისა და ენერგიით მომარაგების საკითხში ჩრდილოეთ კორეის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, - დასძინა კრისტოფერ ჰილმა, რომელმაც ისიც აღნიშნა, რომ 2004 წლის ივნისში, ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ გამართული მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შემდეგ, აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის დელეგაციები ექვსჯერ შეხვდნენ.

**"აშშ-ს ჩრდილოეთ კორეასთან ომის წამოწყების არანაირი განზრახვა არ გააჩნია,"** - კიდევ ერთხელ აღნიშნა ამერიკის წარმომადგენელმა.

სამხრეთ კორეის დელეგაციის ხელმძღვანელმა თავის მხრივ ხაზი გაუსვა, რომ სეულს ძალისხმევა არ დაუშურებია, რათა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში დახმარება გაეწია.

**"იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა თანხმობას განაცხადებს ფხენიანის ბირთვული პროგრამის გაყინვაზე, ჩვენ ორი მლნ კილოვატი ელექტროენერგიით უზრუნველვყოფთ,"** - განაცხადა სონ მინ-სუნმა.

ჩრდილოეთ კორეა 2003 წლის იანვარში გამოვიდა ხელშეკრულებიდან, რომელიც ატომური ენერგიის სამხედრო იარაღად გამოყენებას კრძალავს, ხოლო 2005 წლის მაისში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა ექვს ბირთვულ იარაღს ფლობს.

# ერაყს კომპეტენტური კადრები არ ჰყავს

ნანა ნასყიდაშვილი

*პენტაგონმა ერაყში 2005 წლის იანვარში გამართული არჩევნების დროს, ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურაზე ჩატარებული დაკვირვების შედეგად, არასახარბიელო ცნობათა შემცველი ოქმი გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, ქვეყანაში მომუშავე პოლიციელთა გარკვეულ ნაწილს სათანადო განათლება არა აქვს, ზოგიც წარსულში ნასამართლევი ან ტერორისტებთან კავშირშია ეჭვმიტანილი. თუმცა, როგორც ჩანს, ერაყელები აღნიშნულ სტრუქტურაში მომუშავე ხალხის რაოდენობაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე მათ კომპეტენციაზე. უახლოეს მომავალში ქვეყანაში 135 ათასი პოლიციელის მომზადებაა დაგეგმილი.*

აშშ-ს სამხედრო უწყების დოკუმენტის თანახმად, ქვეყნის პოლიცია არაკომპეტენტური კადრებითაა დაკომპლექტებული და ექსტრემისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უშიშროების თანამშრომელთა მხოლოდ ნაწილს შეუძლია. ერაყში არსებული მძიმე მდგომარეობის ფონზე, როდესაც ხშირია შეირაღებული თავდასხმები და მათ შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი, ქვეყნისთვის ბრძოლისუნარიან და ძლიერ პოლიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, აღნიშნულ სტრუქტურაში მომუშავე ადამიანთა ნაწილს სათანადო განათლება არა აქვს მიღებული, ზოგი კი საერთოდ ინვალიდი ან წარსულში ნასამართლევი პირია. **"აღმაშფოთებელია ერაყის პოლიციაში არსებული მდგომარეობა. სტრუქტურის ზოგიერთი თანამშრომელი წარსულში ნასამართლევი პირია. კადრებს შორის ისეთებიც არიან, ვინც ტერორისტებთან კავშირშია ეჭვმიტანილი და ამის დამადასტურებელი მასალაც მოიპოვება,"** - აღნიშნულია დოკუმენტში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ პენტაგონი ერაყში ამერიკელთა ხელმძღვანელობით მოქმედ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა წვრთნისა და მომზადების პროგრამას, რომელშიც 60 ათასამდე ერაყელი მონაწილეობს, არაეფექტურად მიიჩნევს. **"საფიქრებელია, რომ ერაყში მიმდინარე წვრთნის პროგრამა "საზარბაზნე ხორცის" - ნომინალურ პოლიციელთა დამზადებითაა დაკავებული, რომლებსაც არა თუ ერაყელი ხალხის, არამედ საკუთარი თავის დაცვის უნარიც არ გააჩნიათ,"** - აღნიშნულია პენტაგონის მიერ გამოქვეყნებულ ოქმში.

## ორი სიტყვით

**კავკასია.** დაღესტნის ქალაქ ხასავიურტში რუსეთის შსს-ს მობილური რაზმის ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგად, წინასწარი მონაცემებით, სამი მილიციელი დაიჭრა.

ინციდენტი მილიციის რაიონული განყოფილების შენობის მახლობლად მოხდა. დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

დაღესტნის სოფელ ინჩხში კი ორმხრივი სროლისას მილიციის ორი თანამშრომელი დაიღუპა. ერთ-ერთი დაღუპული რაიონული ცენტრის იზბერბაშის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსია. სროლა მას შემდეგ დაიწყო, რაც მილიციელები გატაცებულ ავტომანქანაში მყოფ შეიარაღებულ ადამიანებს დაედევნენ. გამტაცებლებმა მიმალვა მოახერხეს. მიმდინარეობს მათი ძებნა.

მახაჩყალის კიროვის რაიონში გზის პირას აღმოჩენილია ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის სიმძლავრე ტროტილის ეკვივალენტში 10 კილოგრამია. სპეციალისტების შეფასებით, ფუგასის აფეთქება დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა.

მილიცია ასაფეთქებელი მოწყობილობის დამმონტაჟებლებს ეძებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ერაყი.** "ალ ქაიდა" აცხადებს, რომ გასულ კვირაში გატაცებულ ორ ალჟირელ დიპლომატს სიკვდილით დასჯის ერაყში მოქმედი აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ექსტრემისტული დაჯგუფება (სავარაუდოდ, ეს "ალ ქაიდა"-ს ერაყული უჯრედია). ამგვარი განცხადება ერთ-ერთი ისლამურ ინტერნეტ-საიტზე განათავსებული.

ერაყში ალჟირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ალი ბელარუსი და საელჩოს ატაშე აზედინ ბელკადი ბოევიკებმა გასულ ხუთშაბათს ბაღდადში ალჟირის საელჩოს შენობიდან 100 მეტრში ავტომანქანიდან გაიტაცეს.

გასული კვირის ბოლოს დიპლომატთა გატაცებაზე პასუხისმგებლობა "შუამდინარეთში ჯიჰადის ბაზამ" აიღო. გამტაცებლებს არანაირი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ. ინტერნეტ-საიტზე დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში ექსტრემისტები აცხადებენ, რომ დიპლომატებს სიკვდილით "ალჟირის მთავრობის მოღალატური" პოლიტიკისთვის დასჯიან.

ალჟირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ დიპლომატიური მისიის თანამშრომელთა გასათავისუფლებლად ყველა ღონე იხმარა. ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" მონაცემებით, დიპლომატთა გატაცების საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ორი ეჭვმიტანილი, რომელსაც ამჟამად ჰკითხავენ. ამავდროულად, ალჟირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ერაყიდან ყველა ალჟირელი დიპლომატის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ერაყი უკვე დიპლომატიური მისიის ყველა თანამშრომელმა დატოვა. **როიტერსი**

■ ■ ■

**ავსტრია.** 14 ადამიანი დაშავდა გუშინ ავსტრიის დედაქალაქის, ვენის მახლობლად მომხდარი სარკინიგზო ავარიის შედეგად. დაბა გრამატნოიზიდლთან, სატვირთო შემადგენლობა და სამგზავრო მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა. ავარიის შედეგად სამი სამგზავრო ვაგონი და სამი ცისტერნა ლიანდაგებიდან გადავიდა და გადაბრუნდა. შეჯახების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.ავსტრიის წითელი ჯვრის მონაცემებით, ოთხი დაშავებული მძიმე ტრავმებით ახლომდებარე საავადმყოფოშია გადაყვანილი. **პრაიმ-ტასი**



დავით კოვზირიძის სვეტი

## ჯერ საქმე - ეროტიკა მოიცდის

ეს რა მზაკვრული სიცხეები შემოგვეჩვია, თანამემამულენო! კაცს ვერც ფეხი გაგინძრევია და ვერც ტვინი. ნეტაი იმათ, ვისაც ეს უკანასკნელი საერთოდ არ აქვთ...

ნაკრები კი კიდევ ერთხელ დარჩა უქოუჩოდ და ტრადიციაც ღირსეულად გრძელდება. ქართველები ხომ ტრადიციას ჩაციკლული ხალხი ვართ. ეს თანამდებობა ძალიან დაემსგავსა საქართველოს პრეზიდენტის პოსტს - ვერავინ ძლებს ვადის ბოლომდე.

თუმცა, მე ორივე ხელით ვემხრობი ჩვენი ჩია მასწავლებლის სამშობლოში გასტუმრებას და ეს პოზიცია არაერთხელ გამომიხატავს. ვინაიდან ყოველთვის, მისი ჩამოსვლის წამიდან დღემდე, დარწმუნებული გახლდით: ჟირესი არაა ის კაცი, ჭაობში ყელამდე ჩაფლული გუნდის მშრალზე გამოყვანა შეძლოს. ეგ კი არა, საფრანგეთში საქმიანობისას, საშუალო დონის კლუბი ერთ სეზონში დაახრჩო წუმპეში.

საერთოდ, ძნელი ამოსაცნობია, რატომ შეჩერდა არჩევანი მასზე. იმიტომ ხომ არა, რომ თან უცხოელია, რასაც გულშემატკივრები კატეგორიულად ითხოვდნენ და თან ყველაზე ნაკლებ გასამრჯელოს დაყაბულდა? რა ვიცი, აბა, სხვა არაფერი მომდის თავში. უფრო სწორად, ჟირესი სხვა არაფრითაა გამორჩეული. არადა, რამდენი ძალიან მაგარი მწვრთნელია დღეს პლანეტის ნებისმიერ კუთხეში. თუნდაც იმავე საფრანგეთში.

საფრანგეთზე გამახსენდა. ერთი მეტად საინტერესო ამბავი უნდა მოგითხროთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ რამხელა ფიგურაა თანამედროვე სოკერში ადამიანი, რომლის თეორიებიც ფეხბურთელებს პრაქტიკულ სიბრტყეში გადაჰყავთ.

მსოფლიოს 1998 წლის პირველობაზე მასპინძელთა ნაკრებს გამუდმებით თან დაჰყვებოდა კამერამომარჯვებული ფრანგი ჟურნალისტი. იგი ფეხბურთელებთან ერთად ცხოვრობდა, მიირთმევდა, ესწრებოდა ვარჯიშებს, ტაქტიკურ მეცადინეობებს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დიდი ოჯახის ერთ-ერთი წევრი იყო განსაკუთრებული მისიით - ფირზე უნდა გადაეტანა ყველაფერი, რაც საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ხდებოდა ჩემპიონატის მსვლელობისას.

ფრანგთა ტრიუმფის შემდეგ ეს ნაშრომი დამონტაჟდა და კასეტებად გაიყიდა. თავისთავად ძალიან საინტერესო რამაა, ყველას აინტერესებს მსოფლიოს ჩემპიონთა ნატურალური ცხოვრება, მაგრამ მე ერთ დეტალზე მინდა შევაჩერო თქვენი ძვირფასი ყურადღება.

მაშ ასე, 12 ივლისის დილა, მასპინძლები ფინალში ბრაზილიელებთან საომრად და პირველი ოქროს ჩასატკბარუნებლად ემზადებიან. გასახდელში საქმიანი ატმოსფეროა, განსხვავებით სამხრეთამერიკელთა ბანაკისგან, სადაც ნამდვილი განგაშია ატეხილი რონალდოს ცუდად გახდომის, ჩაფსმის თუ სხვა, დღემდე გაურკვეველი მიზეზისდა გამო.

თუმცა, "ცისფრებმა" არაფერი იციან ამის შესახებ. კამერა ყველას სათითაოდ უახლოვდება და უცბად ჟურნალისტი ამჩნევს, რომ ემე ჟაკეს გვერდზე გაჰყავს ზინედინ ზიდანი, რომელიც დაახლოებით ორ საათში გახდება გმირი, ნაღდი ზიდანი, უჟმური ალჟირელი, ვინც მეფის გვირგვინით გადაკვეთს საუკუნეთა ეკვატორს.

ეს გენიალური დიალოგი სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლდათ:

ჟაკე - დღეს კუთხურებს შენ არ მოაწვდი, გასაგებია?

ზიდანი - კი. აბა, რა ვქნა კუთხურებისას?

- ახლო ძელთან უმეტესად რობერტო კარლოსი დგას. შენზე ბევრად დაბალია და თან უფრო მეკარის დაზღვევაზეა ორიენტირებული. ამას გარდა, შენი საჯარიმოში გამოჩენა მაგათთვის სიურპრიზი იქნება და ჩემი გათვლით, ან ვერავინ მოასწრებს შენზე გადმოსვლას, ანაც ლეონარდო აგიხტება. ეგ ბიჭი თავით ცუდად თამაშობს. მით უმეტეს დაცვაში.

- ესე იგი, ახლო ძელთან დაველოდო ბურთს?

- დალოდებით ოდნავ მოშორებით დაელოდე და უცბად შევარდი საჯარიმოში. შენ აუცილებლად გაიტან და ეს უმნიშვნელოვანესი გოლი იქნება ჩვენს ისტორიაში.

ზიზუ ტრიალდება და თანაგუნდელებთან ერთად მოედანზე გადის საუკუნის მისიის შესასრულებლად.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჟაკემ ჩაჩოთქა და ზიდანმაც აქეთ-იქიდან ორი კუთხური გაჭედა მელოტი თავით. გენიალური დაკვეთა გენიალურად შესრულდა. მისია შესრულებულია!

მას შემდეგ შვიდი წელიწადი გაილია და ამ პერიოდში, ფეხბურთისთვის, სამწუხაროდ, მწვრთნელის მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა. გამოჩნდა დაპროგრამებული ადამიანებით სავსე გუნდები, რომლებსაც ქოუჩები თითქოს ჯოისტიკებით უმართავენ გონებას. საკმაოდ წარმატებულადაც - "პორტუმ" ლიგა მოიგო, "მონაკო" ფინალში გავიდა, ბერძნები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

ამის გამო საფეხბურთო სამყარო ორადაა გაყოფილი. ერთნი ფიქრობენ, რომ სოკერი ეროტიკულობას კარგავს, მეორენი კი ტაბლოს არიან მიშტერებული და ეს შენი ეროტიკა სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ. მე, რა თქმა უნდა, პირველ პარტიაში ვარ, ვინაიდან ფეხბურთი სწორედ მისი მომხიბვლელობის, ადრენალინის და მოულოდნელობის გამო მიყვარს, მაგრამ საქართველოს ნაკრების ამბავში ყაბულს ვარ მხოლოდ შედეგი ვაჩვენოთ (ჯერჯერობით) და ნებისმიერი გზით მივიღოთ მონაწილეობა რომელიმე სერიოზულ გამოფენაში.

აქედან გამომდინარე, ნაკრების მეთაურად უნდა დაინიშნოს კაცი, რომელსაც ახლო, ძალიან ახლო წარსულში საქმით აქვს დამტკიცებული თავისი ოსტატობა და რომელიც თუნდაც უსახური თამაშით გაგვიყვანს ორლობიდან. მთავარი ესაა და არა მისი ეროვნება, მსოფლმხედველობა, გარეგნობა და სექსუალური ორიენტაცია.

როგორმე უნდა დაირღვეს უდროოდ წასული მწვრთნელების მომაბეზრებელი ტრადიცია.

*მომავალ შეხვედრამდე*

მოკლედ

# ევროპას აღარ ვჭირდებით

მიხეილ აბაიშვილი

"თამაშზე რა უნდა ვთქვა? ამ მატჩის სცენარი ბუდაპეშტში დაიწერა და ზუსტად დაგეგმილის მიხედვით წარიმართა. ასეთი დონის ტურნირში მსგავსი მსაჯობა უბრალოდ სამარცხვინოა", - იტყვის თამაშის დასრულების შემდეგ კახაბერ ცხადაძე და მართალიც იქნება. უნგრელმა მთავარმა მსაჯმა, ჟოლტ საბომ, თანამემამულე გვერდით "შავოსნებთან" ერთად, პირველი ტაიმის მიწურულს "მოამთავრეს" მატჩი. ამისულაშვილმა ორჯერ დაარღვია თამაშის წესი და საბომ ორივე დარღვევა გაფრთხილების ღირსად ჩათვალა, რის გამოც, ჩვენს გუნდს 50 წუთის 10 კაცის შემადგენლობით ჩატარება მოუწია. მიქაელ ლაუდრუპის შეგირდებმა, რომლებიც უკლასობას ნამდვილად არ უჩივიან, ეს საჩუქარი კარგად შეირგეს და განმეორებით მატჩს სოლიდური ფორით ხვდებიან.

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

**დინამო (თბილისი) - ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) 0:2 0:0**

**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, ამისულაშვილი, კანდელაკი, ნოზაძე (გრიგალაშვილი, 80`), ბაბუნაშვილი, მახარაძე, ბობოხიძე (აკობია, 46`), მელქაძე (იაშვილი, 63`). მთავარი მწვრთნელი მიქაელ ლაუდრუპი

ბრონდბიუ: ანკერგენი, ნილსენი, იოჰანსენი, ლანცი (აბსალონსენი, 55`), დაუგაარდი, რეტოვი, სკოუბო (კამპერი, 70`), ელმანდერი, სენელსი, აგერი, იორგენსენი (ლორენსენი, 76`)

**გოლები:** 0:1 სკოუბო 59`, 0:2 ელმანდერი 83`

**გაფრთხილებები:** ამისულაშვილი, აკობია, გრიგალაშვილი, კამპერი

**გაძევება:** ამისულაშვილი 43`

თამაშის განხილვას აზრი არ აქვს. მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ "დინამომ" ნამდვილად არ შეირცხვინა თავი და ითამაშა ისე როგორც ამას მისგან გულშემატკივარი მოელოდა. პირველი ტაიმი საქართველოს ჩემპიონის აშკარა



გოჩიტა ბაზაძის ფოტო

*"დინამომ" საჰაერო ორთაბრძოლები ძირითადად წააგო.*

უპირატესობით წარიმართა, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში, დამაგვირგვინებელ ფაზაში ქართველ ფეხბურთელებს მიზანმა უმტყუნა, რის გამოც, საგოლე მომენტების რეალიზება ვერ მოხერხდა. მთავარი ის უფროა, რომ კაცნაკლულმა "დინამომაც" კი არაფერი დაუთმო მეტოქეს, მაგრამ უნგრელმა არბიტრმა, როგორც ჩანს, ამისულაშვილის გაძევებით საქმე მოთავებულად არ ჩათვალა და იმ დროს, როცა ანგარიში 0:1 იყო, ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი დარტყმა არ დანიშნა სტუმართა კარში. ეს მაშინ მოხდა, როცა შეცვლაზე შემოსული იაშვილი ცრუმოძრაობებით დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და უძლიერესადაც დაარტყა, მაგრამ გოლი მხოლოდ იმიტომ არ გავიდა, რომ კარის წინ მდგომმა იოჰანსენმა ბურთი ხელით მოიგერია. არ ვიცი, ალბათ, უნგრეთში საკუთარ საჯარიმოში მცველებს ხელით თამაშის და მეკარისთვის ამ გზით დახმარების გაწევის უფლება აქვთ. მთავარს არც თანამსაჯები ჩამორჩნენ, რომლებსაც "დინამოს" შეტევების დროს, ალბათ, ხელიც კი გაუშეშდათ, რადგან ყველა ეპიზოდში ალმის აწევით თამაშგარეს აფიქსირებდნენ.

ეს რომ ერთეული შემთხვევა ყოფილიყო, ყურადღებას ნამდვილად არ გავამახვილებდი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაწყებული, მსაჯები ყველაფერს ცდილობენ, რომ "დინამომ" წინ ვერ წაიწიოს. ასე იყო ტალინში, როცა ადგილობრივ "ლევადიას" რეფერიმ პენალტი მიართვა ხონჩით, განმეორებით მატჩში კი მისმა კოლეგამ 2 წუთში ოდიკაძეს ორი ყვითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა. იგივე გაგრძელდა გუშინ. როგორც ჩანს, ევროპას, უფრო ზუსტად, უეფას არ ვჭირდებით. ჟურნალისტურ წრეებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ასეთი მსაჯობა "პანიონისის" სკანდალზე უეფას ირიბი შურისძიებაა. თუ ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებსაც გავიხსენებთ, ნათელი გახდება, რომ გაცილებით უფრო ცუდსაც უნდა ველოდეთ. უეფას და ფიფას ფავორიტი ჟორდანიას გზიდან ჩამოცილება და ფედერაციის სათავეში დიქტატის გზით ხელისუფლების კანდიდატურის დასმა, "ტორპედო" - "ზატეს" მატჩი, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, სერიოზულ ეჭვებს იწვევს, ჟირესის ასეთი ფორმით გაშვება და რომელი ერთი ჩამოვთვალო. როგორც ჩანს, მსოფლიო ფეხბურთის მამები აშკარად განრისხებული არიან ჩვენზე და თუ მხოლოდ ასეთი უწყინარი ფორმით - არაობიექტური მსაჯობით დაგვსჯიან, წესით, მხოლოდ სამადლობელი უნდა გვქონდეს.

და კიდევ ერთი: მიუხედავად იმისა, რომ მსაჯებმა მართლაც გაუგონარი არაობიექტურობა გამოიჩინეს, გულშემატკივრებს არა თუ დანები, ბოთლები, ლითონის ბურთულები, დამტვრეული სკამის ნაწილები, არამედ ასანთის კოლოფიც კი არ გადმოუგდიათ, რაც, ასევე, ეჭვს ბადებს.

განმეორებით მატჩზე რა უნდა ითქვას? ცხადაძემ პრესკონფერენციაზე ისიც აღნიშნა, რომ შანსი, თუნდაც თეორიული, კიდევ არის დარჩენილი. თუმცა, ამ მიზერული შანსის გამოსაყენებლად, ფორტუნას უაღრეს კეთილგანწყობასთან ერთად, თემიდის მსახურთა, სულ მცირე, ნეიტრალიტეტი მაინც გვჭირდება. უეფას კი, შეგახსენებთ, აღარ ვჭირდებით.

ინფოთეკა

**შევჩენკო ყველაზე ძვირი მსოფლიოში?**

ლონდონის "ჩელსის" პატრონი რომან აბრამოვიჩი მზად არის "მილანის" ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს სანაცვლოდ 55 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. იმ შემთხვევაში, თუ წინადადება მიღებული იქნება, შევჩენკო მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდება ისტორიაში. აბრამოვიჩს მიაჩნია, რომ კრისტიან ვიერისა და ალბერტო ჯილარდინოს შეძენის შემდეგ "მილანისთვის" შევჩენკოს დათმობა უფრო იოლი იქნება. შევჩენკო, ამას წინათ, კლუბის მწვრთნელ კარლო ანჩელოტისაც წაეჩხუბა, რამაც უფრო გაამყარა ჭორი მის მიერ კლუბის დატოვების თაობაზე. თუ აღნიშნული შეთანხმება შედგა, "მილანი" ან რონალდინიოს ან ფერნანდო ტორესს შეიძენს.

**ფიგუ და სამუელი "ინტერში"**

უახლოეს მომავალში მილანის "ინტერი" კონტრაქტს გააფორმებს ფიგუსა და ვალტერ სამუელთან. ფიგუ, რომელმაც "ლივერპულში" გადასვლაზე უარი განაცხადა, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. სამუელი კი, რომელიც 2001 წლიდან "რომას" ღირსებას იცავდა, "ინტერში" იჯარის წესით ითამაშებს. გუშინ ფიგუს აგენტი ლუიშ ვისენტე "ინტერის" ხელმძღვანელობას შეხვდა და ყველა დეტალი მოაგვარა. სამუელი მადრიდის "რეალში" ერთი წლის წინათ "რომადან" გადავიდა. ამ ტრანსფერისთვის ესპანელებმა 22 მილიონი ევრო გადაიხადეს. თუმცა, არგენტინელის თამაშმა "რეალის" ხელმძღვანელობა ვერ დააკმაყოფილა და ახლა ესპანელები ცდილობენ მცველს დაემშვიდობონ. "ინტერის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი კი დაჟინებით მოითხოვს, რომ შეთანხმება კვირამდე დასრულდეს. მას ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ფიგუს შეყვანაც სურს. "ინტერს" აგრეთვე შეიძლება ლონდონის "ტოტენჰემელი" ედგარ დავიდსიც შეუერთდეს.

**კასანო ვიცე-კაპიტანი აღარ იქნება**

ანტონიო კასანო ამიერიდან აღარ იქნება "რომას" ვიცე-კაპიტანი. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მას არ შეუძლია ამ როლის შესრულება. ეს, ალბათ, უფრო ნიშნავს, რომ კასანო ტრანსფერზე დადგება. "რომას" ახალი ვიცე-კაპიტანი ვინჩენცო მონტელა გახდა. კასანომ კლუბთან კონტრაქტი ჯერ ვერ გააგრძელა. მონტელამ კი ეს მოახერხა. მეორე ვიცე-კაპიტანი კრისტიან პანუჩია. გუნდის კაპიტანი კი, მოგეხსენებათ, ფრანჩესკო ტოტია.

**ჟილბერტო დააჯარიმეს**

ბერლინის "ჰერტამ" 5 ათასი ევროთი დააჯარიმა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი ჟილბერტო. იმისთვის, რომ მან თვითნებურად, სამი დღით გაიხანგრძლივა შვებულება. ჟილბერტო კლუბის განკარგულებაში სამშაბათს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ის ბრაზილიაში პარასკევამდე შეყოვნდა. "ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ მან არც კი გაგვაფრთხილა" - განაცხადა კლუბის დირექტორმა დიტერ ჰიონესმა.

## განცხადება

2005 წლის 23 აპრილს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა განცხადება ჩაის პლანტაციებში სამუშაოების მექანიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განსახორციელებლად ინტელექტუალური მომსახურების შესასყიდად ორეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ.

ტენდერში გაიმარჯვა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

## განცხადება

2005 წლის 31 მარტს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა განცხადება პერსპექტიული ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ღია ტენდერის ჩატარების შესახებ.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო 47 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა. გამარჯვებულად გამოცხადდა 31 პირი, რომლებთანაც დაიდო ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: რეფერალური დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 აგვისტოდან 16 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 17 აგვისტოდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, თინათინ ხეჩინაშვილი ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების და აგრეთვე იმ ბავშვების სამედიცინო დახმარების, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას" კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ბავშვების (3-15 წლამდე) სამედიცინო დახმარება.

***შენიშვნა: 3-15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული სამედიცინო დახმარება განხორციელდება 3-15 წლამდე ბავშვთა სამედიცინო დახმარების სტანდარტების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ პათოლოგია არ შედის სახელმწიფო პროგრამების სტანდარტებში, მისი მკურნალობა განხორციელდება დამტკიცებული შიდა სტანდარტების მიხედვით.***

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 აგვისტოდან 16 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| N | მოწყობილობა - დანადგარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი და მარკა | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა. შ. | | | | | |

ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი მომსახურების სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

ლიცენზია

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო მოცულობა ლარებში;

ინფორმაცია, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ. ინფორმაცია წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნეს გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე სამივე ლოტზე. სამივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

პრეტენდენტებმა თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინონ ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით.

ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს რეზიდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ღირებულებების მიმართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 2% ოდენობით.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე, იური ტიხანაშვილი

***სატენდერო კომისია***

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის საკონკურსო

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე "წაბლის კიბოთი" დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების ღონისძიებების ჩატარების უფლების მოპოვებაზე აცხადებს კონკურს**

**შესასრულებელი სამუშაო და პირობები**

ა) **გამოვლენილი ჯგუფური და გაფანტული ხმობის კორომებში სანიტარიული ჭრების განხორციელება ყველა ხმელი და ხმობადი ხის მოჭრით** (ჭრების განხორციელება რეკომენდირებულია შემჭიდროებულ ვადებში);

ბ) **ტყეკაფების გაწმენდა** - ვინაიდან ქერქი წარმოადგენს პათოგენის ინფექციის წყაროს, აუცილებელია ტყეკაფების გაწმენდა -მოჭრილი ხეების ძირკვების გაქერქვით, შემდგომ ქერქის დაწვით ან მიწაში ჩამარხვით; გამხმარი ხეების ძირკვების გაქერქვა, ხმობადი ხეების საღი ძირკვები, შემდგომში ამონაყრის მიღების მიზნით დარჩეს გაუქერქავი; შეშის დაუყონებლივ გამოტანა;

გ) **ჭრაგავლილი ფართობების აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება** ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობა (ფართობების შეღობვა, აჩიჩქვნა-შეთესვით 05X05 მ. ან 1,0X1,0 მ. ზომის ბაქნების მოწყობით) ან შერეული ტყის გაშენებას ბიოჯგუფებად (წაბლი - ცაცხვი, ნეკერჩხალი, პანტა და სხვა).

**შენიშვნა:** ვინაიდან ქერქის კიბო არ იწვევს მერქნის ტექნიკურ დაზიანებას, მიზანშეწონილია ზეხმელი და ხმობადი ხეები მოიჭრას დროულად, მათზე მერქნისდამშლელი სოკოების ან მწერების დასახლებამდე; სანიტარული ჭრებისა და ჭრაგავლილი ფართობების აღდგენა-გაჯანსაღების სამუშაოების წარმოებისას დაცული უნდა იყოს "საქართველოში მოვლითი ჭრის წესის შესახებ", "სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების შესახებ", "სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესის შესახებ" დებულებებით და საქართველოს გარემოსდაცვითი (მ.შ. სატყეო) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები; დაავადებულ წაბლნარებში სანიტარიული ჭრების ტყეკაფების გამოყოფისას მაქსიმალური კონტროლის განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება სპეციალური "დამღა".

**განაცხადების მიღება**

1. წაბლნარების აღდგენა-გაჯანსაღების ღონისძიებების ჩასატარებლად სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში წარმოსადგენია წერილობითი განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს დაინტერესებული პირის შემდეგ მონაცემებს: ა) პირის დასახელებას; ბ) სასამართლო რეგისტრაციის თარიღს; გ) სასამართლო რეგისტრაციის დადგენილებას.

2. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

ა) რეგისტრირებული წესდების ასლი;

ბ) იურიდიული პირის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;

გ) "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (ქვითარი);

დ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაცემებს და უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს;

ე) საკონკურსო პირობების შესრულების სამუშაოს სრულ აღწერას დაწვრილებით, რომელიც უნდა მოიცავდეს ზესატაფონის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული დაავადებული წაბლნრების ალგენა-გაჯანსაღების პროექტს საკონკურსო პირობების გათვალისწინებით, აგრეთვე დამატებით პირობებს; ფინანსური პაკეტი იქნება დახურული ინფორმაცია და მისი გაცნობის (საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის) უფლება ექნებათ მხოლოდ საბჭოს წევრებს და ადმინისტრაციული აქტის გამომცემ პირს.

5. კონკურსზე არ დაიშვებიან ის პრედენდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ყალბ ინფორმაციას, ან განაცხადს შეიტანენ ამ განაცხადის პირობების დარღვევით.

6. განაცხადების მიღების ვადის დამთავრების შემდგომ წარმოდგენილი განაცხადები პრედენდენტებს დაუბრუნდებათ კონვერტის გაუხსნელად.

7. საკონკურსო ღონისძიებების ჩასატარებლად უფლება არ გაიცემა, თუ ვერც ერთი პრედენდენტი ვერ დააკმაყოფილებს საგანაცხადო პირობებს.

8. კონკურსში დამარცხებულ პრედენდენტებს "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის თანხები არ აუნაზღაურდებათ.

9. განაცხადების განხილვა და გახსნა გაიმართება 2005 წლის 10 აგვისტო, 12 საათზე: ქ. თბილისში, მინდელის ქ N9-ში, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის შენობაში, კომისიის სამუშაო ადგილზე (ტელ: 329092 ან 537236/37, ფაქსი: 537236/37).

10. გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც საუკეთესო პირობებს შესთავაზებს კომისიას;

**საგანაცხადო მოთხოვნები და წაბლნარების აღდგენა-გაჯანსაღების ღონისძიებების ჩატარებაზე უფლების მოსაპოვებელი კრიტერიუმები**

1. განაცხადის შემოტანა შეუძლიათ იმ იურიდიულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ:

ა) ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო ან ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანასთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება ან ამ გარემოების დამადასტურებელი სხვა იურიდიული დოკუმენტი) იმ სიმძლავრეებით, რაც აუცილებელია კონკურსით გათვალისწინებულ ფართობებზე სანიტარიული ჭრებით მოპოვებული რესურსის გადასამუშავებლად;

ბ) სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზების გაყვანისათვის აუცილებელი ტექნიკა;

გ) ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელი ინვენტარი;

დ) სატყეო სფეროში სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილება.

ე) ცნობა საბანკო დაწესებულებიდან ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, რომლითაც დადგინდება, რომ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი სამენეჯმენტო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების საერთო ჯამური დაფინანსება გარანტირებული იქნება;

2. წაბლნარების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა გეგმის პროექტი (მეურნეობის გაძღოლის პროექტი) შედგენილი უნდა იყოს საქმიანობის ეტაპების მიხედვით, თითოული შესაბამისი ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური ხარჯთაღრიცხვის გაწერით.

3. წაბლნარების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა უფლების მოპოვებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პრედენდენტს, რომელიც:

ა) განაცხადის შესაბამისად წარმოადგენს ყველაზე დასაბუთებულ და მისაღებ, ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელ ღონისძიებათა განხორციელების გეგმას (ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით) - მერქნის მოპოვებისა და მისი პირველადი გადამუშავების გარდა შეუძლია დასრულებული პროდუქციის საქათველოში წარმოება მაქსიმალურად უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებით და გასატარებელ სამუშაოებში ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას არანაკლებ 70%-ისა, საერთოდ დასაქმებულთა რაოდენობიდან;

ბ) ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე გარდა დაავადებულ წაბლნარებში გასატარებელი სატყეო სამეურნეო ღონისძიებებისა დამატებით განახორციელებს ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებებს (მაგ: ხანძარსაწინაამღდეგო და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებები; სანერგეების მოწყობა; ხე-ტყის საკონტროლო-გამშვები პუნქტების (ხერგილების მშენებლობა და სხვა);

განცხადებები მიიღება ქ. თბილისის, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში: მინდელის ქ. N9. ტელ: 329092 საკონტაქტო პიროვნება მზევინარ ანსიანი: დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ ზემოაღნიშულ პიროვნებას.

განცხადებები მიიღება 10 აგვისტოს დღის 12 საათამდე, წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს დალუქულ პაკეტებში. განცხადებების მიღების ვადის გადაცილების შემდგომ განცხადებები არ მიიღება და არ განიხილება.

*შერჩევა ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს უცხოური წარმოების ბულდოზერის (T- 171 ან მისი ეკვივალენტი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ბულდოზერი მუშა მდგომარეობაში, გამოშვების წელი - არაუგვიანეს 1995 წლისა, არანაკლებ 170 ცხძ სიმძლავრით; რაოდენობა - 2 ცალი.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 აგვისტოს 12 საათიდან 12 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**5**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 15 აგვისტოს 12 საათიდან 16 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: კარლო ჩოთირიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-54-20, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამეურნეო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი - სამეურნეო საქონელი

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ფიზიკურ პირთათვის:

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

დამატებითი მოთხოვნები:

ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის 12 აგვისტოდან 2005 წლის 16 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 16 აგვისტოს 17 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემათ პრეტენდენტებს 2005 წლის 19 აგვისტოდან 2005 წლის 23 აგვისტოს 18 საათამდე მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0177, ქ. თბილისი. უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული, ოთახი №609. სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 26 აგვისტოს 15 საათი. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 26 აგვისტოს 15 საათზე. პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 25-17-74.

| | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | [illegible] | ც | 500 | 01.09.05-01.10.05. | ქ. თბილისი, [illegible] ქ. №12. |
| | [illegible] | ც | 500 | | |
| | [illegible] | ც | 500 | | |
| | [illegible] | ც | 500 | | |
| | [illegible] | ც | 200 | | |
| | [illegible] | ც | 50 | | |
| | [illegible] | ც | 200 | | |
| | [illegible] | ც | 10 | | |
| | [illegible] | ც | 200 | | |
| | [illegible] | ც | 10 | | |
| | [illegible] | ც | 100 | | |
| | ლურსმანი 40 მმ | კგ | 100 | | |
| | ლურსმანი 70 მმ | კგ | 100 | | |
| | ლურსმანი 100 მმ | კგ | 100 | | |
| | ლურსმანი 120 მმ | კგ | 100 | | |
| ლოტი №2 | [illegible] | ც | 2 | | |
| | [illegible] | ც | 20 | | |
| | [illegible] | ც | 1 000 | | |
| | [illegible] | ც | 4 000 | | |
| | [illegible] | ც | 4 | | |
| | [illegible] | ც | 10 | | |
| | [illegible] | ც | 300 | | |
| | [illegible] | ც | 30 | | |
| ლოტი №3 | [illegible] | ც | 4 | | |
| | [illegible] | კგ | 100 | | |
| | [illegible] | კომპლექტი | 4 | | |
| | [illegible] | ც | 4 | | |
| | [illegible] | ც | 100 | | |
| | [illegible] | მ | 100 | | |
| | [illegible] | მ | 100 | | |
| | [illegible] | ც | 10 | | |
| | [illegible] | ც | 50 | | |
| | [illegible] | ც | 20 | | |
| | [illegible] | კომპლექტი | 100 | | |
| ლოტი №4 | [illegible] | კგ | 21 000 | | |
| | [illegible] | კუბ. მეტრი | 630 | | |
| | [illegible] | მ | 200 | | |
| | [illegible] | მ | 300 | | |
| | [illegible] | ც | 10 300 | | |
| | [illegible] | კუბ. მეტრი | 1 000 | | |
| | [illegible] | მ2 | 400 | | |

**სატენდერო კომისია**

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს კანონის "წიაღის შესახებ" მე-17 მუხლის შესაბამისად წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად:

- მესტიის რ-ში, კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ქ. თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გარდაბნის გზატკეცილის №52-54 სახლის ეზოში მინერალური წყლის "ველის წყარო" შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ჭიათურის ზეგანზე (ხრეითი, რგანი, მერევი, ფასკნარა, ღრუდო) ბუნებრივი წყაროებიდან სასმელი წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ში სოფ. შროშის სამხრეთ-დასავლეთით "ქონდარის უბანზე" ცეცხლგამძლე თიხების მოპოვების მიზნით;
- გორის რ-ში სოფ. ტინისხიდიდან აღმოსავლეთით 0,5 კმ-ის მანძილზე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- გორის რ-ში სოფ. თედოწმინდას ჩრდილოეთით 1,5 კმ-ის მანძილზე მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- კასპის რ-ში სოფ. მუხრანის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ში მდ. ქსნის მარჯვენა ტერასაზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ში სადგურ შორაპნიდან 12 კმ-ში მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მარნეულის რ-ში "ჯანხორშის" კირქვის საბადოს დამუშავების მიზნით;
- მცხეთის რ-ში მდ. ქსნის მარჯვენა ტერასაზე ძეგვის საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- გარდაბნის რ-ის სოფ. ყარაჯალარის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა ტერასიდან ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- თეთრიწყაროს რ-ში სოფ. დურნუკის საკრებულოს ტერიტორიაზე ბაზალტის ქვის მოპოვების მიზნით;
- საჩხერის რ-ში გორაძირის ბაზალტისა და ვულკანური წიდის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ყაზბეგის რ-ში ქისტაურის (ხთისწყლის) და არაგვის (თერგის) ქვიშა-ხრეშის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში საგურამო II ქვიშა-ხრეშის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- დუშეთის რ-ნის მდინარეების: ფშავის არაგვის და თეთრი არაგვის კალაპოტებიდან ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით (გაწმენდითი სამუშაოები);
- თელავისა და ახმეტის რაიონებში ფერადი და კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვების მიზნით.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

წიაღით სარგებლობის სახე და პარამეტრები;

განმცხადებელი საწარმოს მისამართი, მისი სამეურნეო ურთიერთობები საწარმოო და საფინანსო პარტნიორებთან;

მონაცემები განმცხადებელი საწარმოს ხელმძღვანელის ან მფლობელის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ საწარმოს ლიცენზიის მიღებისას;

განმცხადებელი საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი;

განმცხადებელი საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ საწარმოების შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდული არიან, როგორც მენარდეები;

ინფორმაცია განმცხადებელი საწარმოს განვლილი საქმიანობის შესახებ, იმ სახელმწიფოთა სიის ჩამონათვალით, სადაც იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქმიანობდა;

განმცხადებელი საწარმოს წინადადებანი წიაღით სარგებლობის პირობების შესახებ;

წიაღის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები;

საერთო ცნობები მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის ტერიტორიის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი, განაშენიანება, სასოფლო სამეურნეო და ტყის სავარგულების დახასიათება და სხვ.), მოკლე გეოლოგიური დახასიათება;

მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა წიაღით სარგებლობისათვის მიწათსარგებლობის პირობების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულ პირზე ლიცენზია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადებით.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2005 წლის 9 აგვისტომდე. კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისამართი: გ. გულუას №6, მეორე სართული, №213 ოთახი. ტელ: 72-17-48.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს კანონის "საქართველოს ტყის კოდექსის" IV კარის (ტყით სარგებლობა) XIII თავის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თ) ქვეპუნქტის (საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა) შესაბამისად აცხადებს კონკურსს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიმდებარე კოლხეთის სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის ტერიტორიაზე - კვ. №11. უბნები №1-10, საერთო ფართობი 47 ჰა - გრძელვადიანი (20 წლამდე) სარგებლობისათვის (ტყის ფონდიდან ამოურიცხავად) არსებული მიწის კატეგორიების შეუცვლელად.

ტყით სარგებლობის ხელშეკრულებით მიღებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკონკურსო მასალები გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6, II სართული.

# ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 22 ივლისის N136 დადგენილების დ ა ნ ა რ თ ი N1

ქალაქ ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე არსებული მოსაცდელების (შვიდი ერთეული) მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები

**1. შესავალი**

1.1. ქალაქ ბათუმის ქუჩებში არსებული შვიდი ერთეული მგზავრთა მოსაცდელი დაზიანებულია და არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს.

ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, არსებული შვიდი ერთეული მოსაცდელის წესრიგში მოყვანისა და შემდგომი მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა კერძო ინიციატივა და ინვესტიციის მოზიდვა.

**2. პროგრამის ამოცანა**

2.1. კონკურსის ძირითადი ამოცანაა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე არსებული შვიდი ერთეული მოსაცდელისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იერსახის მიცემისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა 20 წლიანი ვადით კონკურსის საფუძველზე, თითო მოსაცდელზე 12 კვ.მ. ოდენობით.

**3. საკონკურსო პირობები**

3.1. კონკურსის ძირითადი პირობაა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე არსებული შვიდი ერთეული მოსაცდელისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იერსახის მიცემა და შემდგომი მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობა.

3.2. თუ კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს არებული მოსაცდელების მფლობელი და კონკურსში გაიმარჯვებს მეორე პირი, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული ოპერატორი ვალდებულია გადაუხადოს მოსაცდელების მფლობელს ობიექტის ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის საფუძველზე.

3.3. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 2005 წლისათვის დამტკიცებული ტარიფით 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისათვის 1,05 ლარით. ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობიდან გამომდინარე მოხდება ამ თანხის კორექტირება.

3.4. იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 10 წლის ვადით.

3.5. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შემდგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრედენტენტი.

3.6 კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომი-სიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ასლები.

3.7. პრედენტენტმა განცხადებასთან ერთად წერილობით, დალუქული კონვერტის სახით, უნდა წარუდგინოს განაცხადი, წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენდენტის ხედვა.

3.8. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტს, "ბე"-ს სახით, მთავრობის მიერ მითითებულ ანგარიშზე შეაქვს საწყისი პირველი წლის საიჯარო ქირა 12 კვ.მეტრის შვიდი ერთეული მოსაცდელის - 88 ლარი, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახ-დელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

3.9. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები არ აგებენ პასუხს მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

**4. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება**

4.1. ქალაქ ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკუ-რი პირებისათვის) დამოწმებულ ასლებს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით.

4.2. საკონკურსო კომისია დადგენილ დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით საჯარო განხილვისათვის გახსნის "განაცხადის" დალუქულ პაკეტებს.

4.3 კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მთავრობის მიერ დასმულ საკონკურსო პირობებს.

4.4. თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას.

4.5 თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

4.6. გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, ქ. ბათუმის მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს მიწის იჯარის ხელშეკრულებას. (შემდგომში ხელშეკრულება) და მისი პირობების შესაბამისად გადასცემს მას საიჯარო ქონებას და ოპერირების უფლებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

4.7. ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვა-ლისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლე-ბა გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

4.8. ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

4.9. ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერა-ტორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგე-ნელი თუ ქვემოიჯარადე იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

4.10. მთავრობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გასცემს სხვა ნებისმიერ პირზე იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით ოპერატორის თანხმობის გარეშე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომი-კური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, შოთა რუსთაველის ქუჩა N6. ტელ: 7-26-45; 7-20-03;

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 1 სექტემბერს, 17 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე კონკურსის საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 6 სექტემბერს, 11 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# ქალაქ ბათუმის მთავრობის სხდომის 2005 წლის 22 ივლისის N137 დადგენილების დ ა ნ ა რ თ ი N1

ქალაქ ბათუმში ზღვისპირა პარკში ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ, კობალაძის ქუჩის პირდაპირ, მარცხენა მხარეს მდებარე სკვერში საჭადრაკო კლუბის მშენებლობისათვის 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გამოყოფისა და განკარგვის საკონკურსო პირობები

**შესავალი**

ზღვისპირა პარკის გაგრძელებასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიზანშეწონილია საჭადრაკო კლუბის მშენებლობა. ამ მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 22 ივლისის N137 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ზღვისპირა პარკში ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ, კობალაძის ქუჩის პირდაპირ, მარცხენა მხარეს მდებარე სკვერში საჭადრაკო კლუბის მშენებლობისათვის 200 კვ.მ. არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ზღვისპირა პარკში მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთების 49 წლიანი იჯარით გაცემა საჭადრაკო კლუბის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

საჭადრაკო კლუბის მშენებლობისათვის 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმის ზღვისპირა პარკში ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ, კობალაძის ქუჩის პირდაპირ, მარცხენა მხარეს მდებარე სკვერი;

მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა 49 წლით;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საჭადრაკო კლუბის მშენებლობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 200 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 1,05 ლარი, სულ 210 ლარი;

**3. საკონკურსო პირობები**

მიწის ნაკვეთის იჯარის ფასი ყველა მონაწილისათვის ფიქსირებულია და შეადგენს ცენტრალური ზონის პირველი ქვეზონისათვის დადგენილ მინიმუმს ანუ 210 ლარს;

ვადა კონკურსის შედეგების შეჯამებიდან შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად მზადყოფნამდე არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსე-ბელი საჭადრაკო კლუბის შესახებ.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის იჯარის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე"-ს სახით მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს აუცილებელი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების 10% ოდენობით, ანუ 21 ლარი. კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) კანო-ნით დადგენილ ვადაში.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საჭადრაკო კლუბის მინიმალურ დროში გაშვება.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგა-რიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტედენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატე-რიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრედენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური. რუსთაველის ქ.N6. ტელ: 7-26-45.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 1 სექტემბერს, 17 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე კონკურსის საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 6 სექტემბერს, 11 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402